სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 15 ივნისი 2000 №112 (1134) | ფასი 50 თეთრი

იტალია პირველად

REUTERS ფოტოსურათი

იტალია — ბელგია 2:0. ფრანჩესკო ტოტიმ (№20) ზუსტი თავურით იტალიელები მატჩის დასაწყისშივე დააწინაურა

UEFA EURO 2000

B ჯგუფი

ბელგია	0
იტალია	2

ფრანჩესკო ტოტის ადრეული თავური გოლით და მეორე ტაიმის დასაწყისში სტეფანო ფიორეს ზუსტი დარტყმით იტალიამ წუხელ ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელი ბელგია დაამარცხა. იტალიის ნაკრებმა პირველად ითამაშა „მეფე ბოდუენის“ განახლებულ, ყოფილ „ეიზელის“ სტადიონზე, სადაც 1985 წელს „ლივერპულ“ — „იუვენტუსის“ ტრაგიკული მატჩისას 39 გულშემატკივარი, მათ შორის 31 იტალიელი, დაიღუპა. აპენინელებმა მატჩის წინ ყვავილები მიიტანეს იმ კედელთან, სადაც 15 წლის წინანდელი ტრაგედია დატრიალდა. მერე კი ითამაშეს, მოიგეს და პირველები არიან, ვინც თითქმის გაინადდა მეოთხედფინალისტობა.

იხილეთ მეორე-მეექვსე გვერდები

ბასკო 1
აზოტი 1

აზოტმა ბასკოსთან წაივარჯიშა

სხვა გამოსავალი არც ჰქონდა: შეხვედრა პირველივე ტაიმში წააგო

გუშინ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალის მეორე მატჩი პირველის საპირისპირო გამოდგა: ბათუმის „ბასკომ“ 39 ქულის სხვაობით, 105:66 დაამარცხა რუსთავის „აზოტი“ და სერიის ანგარიში გაათანაბრა.

შეხვედრამ ჯერ კიდევ შესვენებამდე დაკარგა აზრი, იმდენად დიდი იყო „ბასკოს“ უპირატესობა როგორც თამაშის, ისე ანგარიშის მხრივ.

მანამდე კი სტუ-მ, პირველი მატჩის მსგავსად, ორი ქულით, 101:99 დაამარცხა სდასუ და ბრინჯაოს მედალს ერთი მოგებაღა აშორებს.

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები

გურამ დოლენგავა/ბელლის ფოტო

აზოტი — ბასკო 66:105. ბასკოელმა ლევან ქარაბაკმა აზოტელთა ეს ალყაც გაარღვია

ცოდვა გამხელილი სჯობს

B ჯგუფი

ბრიუსელი
14 ივნისი
21.45 საათი
მეფე ბოდუენი
30 000 (ტევადობა 50 000)

იტალია 2:0 ბელგია

1:0 ტოტი (6), 2:0 ფიორე (66)

იტალია: ტოლდო, მალდინი, კანავარო, ნესტა, იულიანო, ფიორე (ამბროზეტი 82), ძამბროტა, ალბერტინი, ინძაგი (დელ-ვეკიო 77), კონტე, ტოტი (დელ პიერო 63)

მწვრთნელი: დინო ძოფი

ბელგია: დე ვილდე, დეფლანდრე, ვალ-გაერენი, სტალენსი, ვანდერჰეიგე, ვილ-მოტსი, გოორი, ვან კერკჰოვენი (ჰენდ-რიქსი 44), ვერჰეენი (მ. მპენზა 67), ე. მპენზა, შტრუპარი (ნილისი 58)

მწვრთნელი: რობერ ვასეჟი

გაფრთხილება: კონტე, ძამბროტა, ვილ-მოტსი

მსაჯი: ხ. გარსია არანდა (ესპანეთი)

კარისკენ დარტყმა: 7-10; კარში დარტყმა: 2-5; კუთხური: 6-7; ჯარიმა: 16-22; თა-მაშგარე: 3-7

ილია გაგუნაშვილი
ბრიუსელიდან

პროგნოზი საშარო საქმეა. წესით, კაცმა მეგობარსაც არ უნდა უთხრა, ეს მოიგებს ან ის ჩემპიონი გახდებაო, თორემ ერთ მშვენიერ დღეს, მართალია, მეგობრულად, მაგრამ ნიშნს მაინც მოგიგებს. მით უმეტეს, საჯაროდ არ შეიძლება რაიმეს თქმა. ამიტომაც არ გეუბნებით, რომ ევრო 2000 იტალიის ტრიუმფით დამთავრდება. მე უბრალოდ გავიფიქრე, ამათ რომ კიდევ კრისტიან ვიერი ჰყავდეთ...

ცოდვა გამხელილი სჯობს, ეს მართლაც გავიფიქრე, მაგრამ, დამეთანხმებით, გაფიქრება ერთია, თქმა — მეორე.

„მეფე ბოდუენის“ პრესლოჟიდან მინდორი, იმდენად ხავერდოვანი, რომ კაცს შეიძლება რაიმე ნუგბარი გეგონოს, ხელისგულივით ჩანს. ხელისგულივით ჩანს მასზე დატრიალებული ამბებიც. ზიხარ და ხედავ, რომ სტადიონზე მისული, ფრიად აქტიური ქომაგების სამი მეოთხედით წაქეზებულმა ბელგიელებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში ორად ორჯერ შეძლეს მეტოქის დაცვაში ეგრეთ წოდებული ზონის გახსნა. აქ იმას ვგულისხმობ, რომ „სკუადრა აძურას“ დაცვა მხოლოდ ორჯერ აჭყვა მასპინძელთა კომბინაციას, რის შედეგადაც ერთმა იტალიელმა არასწორი მიმართულებით გადადგა ორი-სამი ნაბიჯი და მოწინააღმდეგეს კარში დარტყმის საშუალება მისცა. ხაზს გავუსვამ, აქ საშუალო და შორი მანძილებიდან დარტყმებზე არ ვლაპარაკობთ, აქ სწორედ ზონის გახსნასა და თავდამსხმელის ხელსაყრელ პოზიციაზე შეყვანაზე გვინდა თქვენი ყურადღების გამახვილება.

მე თუ მკითხავთ, დინო ძოფი არის არიგო საკი პლუს ჩეზარე მალდინი გაყოფილი ორზე. იგი არც პირველივით მიილტვის მეტოქის ნახევრისკენ და არც მეორესავით აგებს თავის საჯარიმოსთან კედელს. პრაკტიკულად უკვე მეოთხედფინალისტი ძოფის გუნდი საოცრად დაბალანსებულია. ბელგიელებთან შეხვედრისას მის ფეხბურთელებს ერთხელაც არ დაურღვევიათ ერთმანეთს შორის წინასწარ დათქმული მანძილი.

არსობრივად მატჩმა ასე ჩაიარა: ბელგია თამაშის ცენტრის იტალიელთა ნახევარზე გადატანას ცდილობდა, „სკუადრა აძურა“ კი უფრო მოედნის შუისკენ მიწოლას ლამობდა. იყო პერიოდები, როდესაც მასპინძლებს ჩანაფიქრი თითქოს გამოსდიოდათ, მაგრამ ბურთის მეტოქის საჯარიმოს ახლომახლო ტრიალი ერთია, გოლის გატანა — მეორე. ხოლო იმ ეპიზოდებში, როდესაც „წითელი ეშმაკები“ სტუმართა კარში დარტყმას ახერხებდნენ, ბურთი ფრანჩესკო ტოლდოს ხელებს აწყდებოდა.

ვინ ვინ, მე კი სტეფანო ფიორე მიმაჩნია აღნიშვნის ღირსად და არა მხოლოდ მეორე გოლის ავტორობის გამო. კარგად მოვიხსენიებ-მეთქი, ჯერ კიდევ გოლამდე გავიფიქრე. ფიორე ძალიან გონივრულად მოძრაობდა და ზუსტად ავსებდა სივრცეს ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის, პასიც საკმაოდ ოსტატური მოსდევს.

...ნილის! ნილის! აგუგუნდა „მეფე ბოდუენი“ მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე. ნილისი მართლაც ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ფორმაში ვერაა, რაც რობერ ვასეჟმა კარგად იცის და თავიდანვე ამიტომაც არ ათამაშებს. წუხელ მან ვერც შეცვლაზე შესულმა გამოიჩინა თავი.

შეცვლით კი ნილისმა ბრანკო შტრუპარი შეცვალა. და სწორედ შტრუპარი გამოდგა ის კაცი, ვინც მატჩის დაძაბულობაზე ნათელი წარმოდგენა შემიქმნა. ინგლისური „დერბი ქაუნთის“ ბელგიის ნაკრებში მოთამაშე ხორვატი ფორვარდი მოედნიდან პირდაპირ... იტალიელთა სათადარიგო სკამისკენ გაემართა და მიიწ-მოიწით, ჩამსვითო, სთხოვა. აუხსნეს, ბელგიელთა ბანაკისკენ მიუთითეს და მერეღა მიხვდა, რომ სულ სხვა გეზი დაეჭირა. სამწუხაროდ, არ ვიცი, გამოჩნდა თუ არა ეს ეპიზოდი თქვენს ეკრანებზე. თუ გამოჩნდა, დამეთანხმებით, იგი ძალიან მრავლისმეტყველია.

და იღბალი? განა მეხუთე წუთზე ანგარიშის გახსნას იღბალი არ უნდა, იკითხავს ვინმე. რა გიპასუხოთ. ვგონებ, ნებისმიერ გამარჯვებას იღბალი სჭირდება, ისე კი, თუ გახსოვთ, პირველი გოლი მარჯვნიდან ჩაწოდებულ ჯარიმას და პირდაპირ თავურს მოჰყვა, ბლოკნოტში კი იმთავითვე ჩავინიშნე, იტალია სტანდარტული მდგომარეობებისას (როგორც თავდასხმაში, ასევე დაცვაში) ყოჩაღობს-მეთქი.

და მაინც, „სკუადრა აძურას“ კრისტიან ვიერი აკლია, ძალიან. მისი მძლავრი მოქმედებები. მწამს, ფილიპო ინძაგისაც გაუადვილებდა საქმეს და, ალბათ, თამაშის წინ, ბელგიის ჰიმნის დროს, მისი თმის ხანგრძლივი ვარცხნა-სწორებაც მეწყვილის გადაპარსული თავის ფონზე თვალშისაცემი არ იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბრიუსელიდან

ფეხები მაღლა: ალესანდრო ნესტა (№13) და ბრანკო შტრუპარი



REUTERS ბრიუსელიდან

იტალია — ბელგია 2:0. იტალიელი ფილიპო ინძაგი მასპინძელ მარკ ჰენდრიქსს მაისურაზე ეჭაჩება

მატჩის შემდეგ

დინო ძოფმა პრესკონფერენციაზე ბელგიასთან მოგებას იტალიის ნაკრების სულისა და ხასიათის წარმატებით ჩაბარებული გამოცდა უწოდა.

„ეს იყო თამაში ბრძოლის მოზრდილი დოზებით — თქვა ძოფმა — ბელგიამ ჩვენი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დონე შეამოწმა და შემოწმება წარმატებით გავიარეთ: სწრაფად გატანილ გოლს ჩვენთვის თავბრუ არ დაუხვევია და, საბედნიეროდ, მერე მეორეც გავიტანეთ — ახლა ექვსი ქულა რომ გვაქვს, თავს უკვე მყუდროდ ვგრძნობთ“.

ძოფმა ალბათ პრაქტიკულად მეოთხეფინალში გასვლა იგულისხმა, პირველი გოლის ავტორის, ფრანჩესკო ტოტის ნათქვამი ფრაზა კი უფრო მაღალი ტონალობისა იყო: „ახლა, ჩემი აზრით, იმის თქმაც შეგვიძლია, რომ ნამდვილი ნაკრები ვართ. ჩვენ მივაღწიეთ იმ ფორმას, რომელმაც წარმატება უნდა მოგვიტანოს“.

რობერ ვასეჟის აზრით, იტალიამ გამარჯვება დაიმსახურა.

„მე არ ვამბობ, რომ მათ ჩვენ გვაჯობეს — დააზუსტა ბელგიელთა მთავარმა მწვრთნელმა — უბრალოდ ვფიქრობ, რომ გამარჯვებას იმსახურებდნენ. ძალიან გაგვიძნელდა, როცა ასე უცებ გოლი მივიღეთ, თუმცა ჩვენები მაინც გაახერხებდნენ რაღაცას, იტალიელებს ის თვისება რომ არ ჰქონოდათ, ჩვენ რომ გვაკლია — უმაღლეს დონეზე თამაშის უნარს ვგულისხმობ“.

ემილ მპენზას აპენინელთა დაცვა მოსწონებია, კაცის მოტყუება ერთხელ ისე ვერ მოვახერხე, იმის უკან მეორე არ დამხვედროდაო, ხოლო ლუკ ნილისმა თავისიანთა დამსახურებაც გამოკვეთა.

„იტალიელებმა ძლიერად ითამაშეს — თქვა ნილისმა — მაგრამ ორივე ტაიმში კარგა ხნის მანძილზე ისინი თავიანთ საჯარიმოს რომ მივაჯაჭვეთ, ეს ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს, თუმცა მათ მთლიანად საკუთარი სცენარით თამაშის წაყვანა მოახერხეს — სწრაფი გოლი, დაცვაში დგომა და კონტრშეტევები. ყველაფერი ისე გამოუვიდათ, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ“.

მატჩის სტენოგრამა

5 — ვერჰეენის შეცდომას მალდინიმ კარში დარტყმა მოაყოლა, დე ვილდემ მისიც მოიგერია და გადმოვარდნილზე ინძაგის დარტყმულიც აიღო.

6 — ჯარიმიდან ალბერტინის დარტყმული ბურთი ტოტიმ თავურით გაიტანა — 1:0.

9 — 20 მეტრიდან გოორის დარტყმული ტოლდოს კარის ხარიხას მოხვდა.

21 — შტრუპარის მიწოდებულ ბურთზე ვილმოტსმა კონტეს დაასწრო, მაგრამ მისი დარტყმული ტოლდომ იოლად აიღო.

23 — შტრუპარმა მაკრატელათი იულიანოს გაარტყა, ასხლეტილ ბურთზე ვილმოტსმა გაიწია, მაგრამ ტოლდოც შეეგება და თავადაც ვერ შესწვდა.

27 — ვალგაერენმა ინძაგისთან ბრძოლისას საჯარიმოში ხელით გაისწორა ბურთი, მალდინი პენალტს ითხოვდა და მასთან მიგორებულს დასარტყმელად მზად ვერ დაუხვდა.

40 — იტალიელთა კარგი კომბინაციის ბოლოს კონტემ ბურთი ინძაგის მიაწოდა, მაგრამ მან სუსტად დაურტყა დე ვილდეს.

45 — ემილ მპენზას დაგორებული ბურთი ვილმოტსმა ტოლდოს დაურტყა, მაგრამ მეკარე ამჯერადაც გაუმკლავდა.

47 — სტალენსის დაფარული დარტყმა ტოლდომ კუთხურზე მოიგერია.

53 — კუთხურიდან გოორის ჩაწოდებული ბურთი ვილმოტსმა თავური დარტყმით ააცილა.

64 — ნილისმა საჯარიმო დარტყმით ბურთი ცოცხალ კედელს შემოატარა, ტოლდომ ამჯერადაც მოიგერია.

66 — საჯარიმოში ინძაგისთან გათამაშებული ბურთი ფიორემ მარჯვენა ფეხით გაუტანა დე ვილდეს — 2:0.

79 — მეკარის ბაქნის წინ ბრძოლისას დელვეკიომ ვალგაერენს უბიძგა და საკუთარ კარში თავური გაატანინა — მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, ნესის დარღვევა დააფიქსირა.

85 — ვილმოტსის ჩინებული პასით გოორისგან ასხლეტილი ბურთი ლოკონდა მპენზას მიუვიდა, მაგრამ თავდამსხმელმა ააცილა.

90 — ჯარიმიდან დელ პიეროს დარტყმული ბურთი დე ვილდემ კუთხურზე მოიგერია. თამაში ალარც განახლებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია გაბუნიშვილი
ბრიუსელიდან

ზურაბ მექვენია
ბრიუსელიდან

სამოთხე და ჯოჯოხეთი ის ორი ოთახია, რომელთაც ერთი კედელი ჰყოფთ. არცთუ იშვიათად, ეს კედელი შეიძლება გამჭვირვალე იყოს, ძალიან ხშირად — სულაც არ იყოს. ასეთია მიწიერი ყოფა-ცხოვრება — ვერ გაიგებ, სად იწყება და მთავრდება ერთი, სად — მეორე. შეიძლება ისეც მოხდეს, ერთ ქალაქში, ერთ სტადიონზე, ერთ მატჩზე სამოთხეც სუფევდეს და ჯოჯოხეთიც დატრიალდეს. ბრიუსელს მყოფი სარბიელელების წერილები ამის თაობაზე...

ევრო ბევრიათასის ზღაპრული ფერები

შვიდი წლის გარდაცვლილები ნუ შეწუხდებიან, ცოლს თუ ეყრებით, ეგ არაფერი

ლამზი ხალხი, ლამაზი სიხარული... ტრიბუნაზე ამათი მეზობლობა ნამდვილად სასიამოვნოა

აი, პირველი ტური დამთავრდა, უკვე მეორე დაიწყო და უნდა მოგახსენოთ, რომ საუცხოო ჩემპიონატია. ვთქვათ, შეხვედით ტრიბუნაზე თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. სანამ თქვენს ადგილს მიაგნებთ, ჩინებული განწყობილება გარანტირებული გაქვთ. მოგუგუნე დინამიკებიდან ფრქვეული რიტმული, საცეკვაო მუსიკა, თუ შვიდი წლის გარდაცვლილი არ ბრძანდებით, უეჭველად აგიყოლიებთ. სტიუარდი, რომელსაც ბილეთი აჩვენეთ და გეზი მოგცათ, უკვე კარგად დაცილებულსაც გიღიმით. შემდეგ ვიღაც მხარს გაგკრავთ და ორივენი ისეთი ეშხით უბოდიშებთ ერთმანეთს, რომ ერთსაც და მეორესაც ცოლი რომ გეყრებოდეთ, ცხოვრების დიდ პერსპექტივას დაინახავთ. ადგილზე მისულს ისეთი კეთილი მეზობელი დაგხვდებათ, რომ სიგარეტს თუ არ ეწევა, იმის ხათრით შეიძლება თავი დაანებოთ — არ გავბოლოო, მოგერიდოთ. მაგრამ ის რომ მოკრძალებას შეგნიშნავთ და მიზეზს მიხვდება, თქვენი ხათრით თავად დაიწყებს მოწევას. მთავარია, მოხუცი ბულგარელი არ იყოს. ვინც აქამდე გადამყრია, მათ შორის ერთადერთი დაბღვერილი და ღრენია ჟივკოვისდროინდელი ბულგარელი გახლდათ.

ადგილზე მისული ჯერ ერთი კარის უკანა ტრიბუნას გახედავთ, მერე მეორეს. აქ მეტოქეთა ფანებს მოუყრიათ თავი. ყველას, სოციალისტადყოფილ რუმინელებსაც კი, თავისი გუნდის მაისურა აცვია, სახე დროშისფრად შეუღებავს და ცეკვავს, დახტის, ყვირის. რამდენიმე ტექსტი მზად აქვთ. მზადაა რამდენიმე სიმღერაც.

მაგრამ მთავარი დაიანა როსია. აი, დინამიკებში გაისმა მისი ცნობილი, ძველი სიმღერის I WILL SURVIVE (მე გამოსავალს ვნახავ, გადავრჩები) ნაზი შესავალი. ოთხი მხრიდან ოვაცია ისმის. შემდეგ ორწამიანი პაუზა და... არა, მძლავრ დინამიკში მოსმენილ სულ სხვაა. რადიო და მაგნიტოფონები წრიპინებენ, აქ კი ათეულობით ათასი ადამიანი, პატარა გოგობიჭებით დაწყებული, უფროსებით დამთავრებული, დახტის. სიმღერა — ისევე, როგორც საყოველთაო ზეიმი — ორივე გუნდის გულშემატკივრებს ეძღვნება.

ამას დაამატეთ მზე, რომელიც დაიანა როსივით ყველას უნაწილებს თავის ენერგიას.

მერე მღერის არქივიდან მოულოდნელად, ვულკანივით ამოხეთქილი, ტომ ჯონსი, რომელსაც „სამბა დე ჟანეირო“ ენაცვლება, მერე კიდევ რაღაც...

ტრიბუნა გუგუნებს — რომელიღაც გუნდის რომელიღაც ფეხბურთელი, როგორც წესი, მეკარე, მოთელვაზე გამოდის.

... მეორე ტრიბუნაც გუგუნებს — მიზეზი იგივე

... ისევ პირველი ტრიბუნა გუგუნებს — ახლა მთელი გუნდი გამოდის მოთელვაზე.

... ისევ მეორე ტრიბუნა გუგუნებს...

რიტმული მუსიკა და ცეკვა არ წყდება. ფეხბურთელების ვარჯიშიც ცოტათი ცეკვას წააგავს. შემდეგ კი საქმეში სტადიონის დიჯეი ერევა. ის საზოგადოებას ესალმება, ამბობს, ახლა შემადგენლობებს გაგაცნობთო და: ნომერი ერთი ოლივერ... კანი! გუგუნებს სტადიონის გერმანული ნაწილი, ან ფაბიენ... ბარტეზი! ხმას ცას აწვდენენ ფრანგები.

აი, რუმინელებს ასე არ გამოუცხადეს. არც დანიელებს. ეტყობა, თავად ამ ქვეყნებში აქვთ სხვა წესი, თორემ თითოეული გვარის შემდეგ ოვაცია, იცოცხლეთ, ისეთი იყო.

ამის შემდეგ ფეხბურთელები გადიან. დინამიკები გაუჩერებლად გუგუნებენ. გადის ხუთიოდ წუთიც და... სიმღერის შესავალი, სწრაფი, ენერგიული, რიტმული, გვკარნახობს, რაც მოხდება. ეს გახლავთ შეჯიბრების მთავარი სიმღერა, ჰიმნი: „კამპიონეს, კამპიონეს!“ დიახ, ახლა გასახდელიდან ისინი გამოვლენ.

ამ ჰიმნს ნამდვილი ჰიმნები ცვლის. შემდეგ გუნდები ისტორიისთვის ჯიდღოს იღებენ და ცენტრისკენ მიეშურებიან.

და დინამიკებიდან თავს გვახსენებს ფრედი მერკური: WE WILL ROCK YOU!

და თქვენ ხვდებით, რომ ახლა ეს ყველაფერი შეწყდება, რადგან ფეხბურთი უნდა დაიწყოს.

ეჰ!

...ბრუნდები შინ, რთავ ტელევიზორს და ხედავ, როგორ იჩხუბეს ბრიუსელის გრანდ პლასზე ვიღაც მთვრალმა ბელგიელებმა, ან როგორ შეებნენ სტიუარდებს ვიღაც კუნთმაგარი თურქები. ხედავ და მხრებს იჩეჩავ. თქვენ ხომ ასეთი არაფერი გინახავთ.

არა, ეს რაღაც შეცდომაა, სისულელეა.

ანტიქაბაბისტები

აქ ახლა შუა საუკუნეებია: ჯვაროსნები ისევ ცოცხლობენ

ბელგიაში ქუდზე კაცია მშვიდობისა და ფეხბურთის სადარაჯოზე

ისინი ბელგიაში ჯერ არ ჩანან, თუმცა სასტუმროებისა თუ ბინების ფანჯრებიდან გადმოფენილი დროშები მიგვანიშნებს, რომ ისინი აქ არიან.

მათ პოლიცია აფრთხილებს: არაფერი მიქაროთ, თორემ ძალადობას ძალადობას დავუპირისპირებთო. ბარებისა და კაფეების პატრონები სკამებს მაგიდის ფეხებზე ჯაჭვით აბამენ, მაგათ ეს სკამები თავში არავის ურტყანო.

ორი დღეა ყველაზე საშიში — 17 და 19 ივნისი. ზეგ პატარა შარლერუა ინგლისი — გერმანიას მასპინძლობს, ორშაბათს კი ბელგიის დედაქალაქში ამ ქვეყნის ნაკრები თურქეთისას ხვდება.

რატომაა საშიში შარლერუას მატჩი, იოლი მისახვედრია. აი, ერთი შეხედვით უწყინარ, ბელგია — თურქეთის შეხვედრას კი აქაური პოლიციის განსაკუთრებული ყურადღება მას შემდეგ ეღირსა, რაც სამართალდამცავები ინტერნეტს ჩაუსხდნენ და ერთ საინტერესო საიტს წააწყდნენ, მას „ხულიგანთა ფორუმი“ ჰქვია და რაც რომ ევროპაში საფეხბურთო ხულიგანი თუ უბრალო რასისტია, იმათი დამაკავშირებელი ყოფილა.

„შურისძიება! დავხოცოთ ეგ ნაბიჭვრები!“ — ვისზეა საუბარი, დიდი ახსნა-შეხსენება არ გჭირდებათ, ცხადია, თურქებზე. შესაბამისად, არც ამ მოწოდების ავტორებს სჭირდებათ ძებნა — პოვნა.

მაგრამ მარტო ინგლისელები რომ იყვნენ, რა უჭირდა აქაურ პოლიციას. როგორც გაირკვა, ფეხბურთისა და საფეხბურთო ხულიგნობის სამშობლოს წარმომადგენლებს მხარში ჰოლანდიელი და ბელგიელი „კოლეგები“ ამოსდგომიან, „გაერთიანებული ფრონტი“ შეუქმნიათ და მიზნად სრულიად თურქთა განადგურება დაუსახავთ.

„თქვენი დედაც და თქვენი ათათურქისაც... გაიკვეხეთ უკან თქვენი ყ.. ქაბაბი... რაც მინისძვრისას წამლები გამოგიგზავნეთ, ახლა გამოგადგებათ... ყველანი მოკვდებით, თქვე ღორებო... აწი დანებსაც ვიხმართ და იარაღსაც... სიკვდილი საზიზღარ თურქებს“... — ეს ტექსტი საქართველოს პრესის კანონის შესაბამისადაა გადმოთარგმნილი, თორემ დედანში ისეთები წერია, ყრუს გაარჭობინებს ყურებში თითებს.

ჰოდა, ამის ნამკითხავ ბელგიელ პოლიციელებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ სწორედ 19 ივნისს, ბელგიისა და თურქეთის მატჩზე აპირებენ გაერთიანებული ევროხულიგნები წადილის ასრულებას. მე თქვენ გეტყვით და, ძნელი მოსაძებნია თურქი. აგერ, ერთი ბეწოა შარლერუა და ზედ ცენტრალური მოედნიდან 150 მეტრში ორიათასკაციანი თურქული დასახლებაა. ბრიუსელში, ცხადია, გაცილებით მეტნი არიან, თან, სტამბოლში ორი ლიდსელის მკვლელობის მერე, თურქებზე თავდასხმის მცდელობები უკვე ყოფილა ამსტერდამსა და ანტვერპენში.

„ჩვენ გულმოდგინედ ვუთვალთვალებთ ინგლისელებს და ყველაფერს გავაკეთებთ, ბელგიელი თურქები რომ დავიცვათ“ — აცხადებს აქაური სამართალდამცავების ერთ-ერთი ჩინოსანი. მართლაც, თითქმის ქუდზე კაცია (ქალიც) მშვიდობისა და ფეხბურთის სადარაჯოზე გამოყვანილი, თუმცა, ორიოდ გამონაკლისის გარდა, დღემდე უფრო გზის გამკვლევების ფუნქციას ასრულებენ.

იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება. ფეხბურთი ხომ სანახაობაა და არა სასაკლაო.

მაზი იზეტის ორი სამშობლო

რა ენაზე საუბრობენ თურქეთის ნაკრების წევრები? ცხადია, თურქულად, თუმცა ერთი გამონაკლისი მაინც გვხვდება. მუსტაფა იზეტზე მოგახსენებთ, რომელსაც საფეხბურთო წრეებში უფრო მაზის სახელით იცნობენ.

მოგეხსენებათ, მაზი იზეტი ინგლისშია დაბადებული და იქაურ „ლესტერშიც“ თამაშობს. ჩვენში ბავშვებს ეკითხებიან, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო. იზეტსაც მოსვენებას არ აძლევენ: ინგლისს ამჯობინებ თუ თურქეთსო? ამ ბანალურ კითხვაზე ფეხბურთელს ბანალური პასუხი მზად აქვს: „ინგლისს, რადგან დედა ინგლისელი მყავს და თურქეთსაც, მამაჩემის გამო.“ მაზი იქვე იბოდიშებს, მაპატიეთ, თურქული არ ვიცი და მშობლიურ ენაზე ვერ გესაუბრებითო. ანკი საიდან ეცოდინება, 25 წლისაა და თურქეთში სულ ოთხჯერ არის ნამყოფი.

თუ თურქთა საევროპო განაცხადს გადავხედავთ, იქ ორი ფეხბურთელია, ნაკრებში ჯერაც რომ არ უთამაშია — გაზიანთეფელი მეკარე ომერ ჩატკიქი და მაზი იზეტი. მეკარეზე ვერაფერს მოგახსენებთ, იზეტმა კი უთამაშებლობა თავის თავს დააბრალოს. საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთელს კარგა ხანს თვალი ინგლისის ნაკრებზე ეჭირა — მწვრთნელის მიწვევას ელოდა. ხმებიც კი დაირხა, შესაძლოა, კევინ კიგანმა გაინგლისებულ თურქს ნაკრების კარი გაუღოსო. მაგრამ კიგანს იზეტის მიწვევა აზრადაც არ მოსვლია და მანაც ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. რაღა დარჩენია, ინგლისის ნაკრების თეთრ მაისურას თვალი მოსწყვიტა, თურქული წითელი მოირგო და გაიძახის: მე აქ ბედნიერი ვარ, მიყვარს თურქეთი და თურქი ხალხიო.

ბოლოს კი ისევ ენის საკითხს მივუბრუნდეთ. მაზი იზეტმა ჟურნალისტებს გაანდო, ჩემი ოთახის მეგობარი დავალა უმითი თურქულს მასწავლის და მალე ავმეტყველდებიო. მაგრამ თუ თურქთა ნაკრები ბელგია-ჰოლანდიიდან ნაადრევად დაბრუნდა, იზეტის გაკვეთილებს შეწყვეტა ხომ არ ემუქრება?

მაზი იზეტი

კიგანი ღელავს

ინგლისის ნაკრების მწვრთნელის კევინ კიგანის თქმით, ცენტრალური მცველი ტონი ადამსი დარჩენილ ჯგუფურ შეხვედრებს ტრავმის გამო გამოტოვებს. მომავალ მატჩში, გერმანელების წინააღმდეგ, ალბათ, ვერც სტივ მაკმანამანი ითამაშებს — მან პორტუგალიელებთან შეხვედრაში მუხლი დაიზიანა.

„მაკმანამანი გერმანელებთან შეხვედრამდე ალბათ ვერ გამოჯანმრთელდება. სამწუხაროა, მაგრამ ვერაფერს გავაწყობთ — განაცხადა კიგანმა და დასძინა — მომავალ მატჩს მოუთმენლად ველით, ვიცით, გერმანიის წინააღმდეგ როგორ ვითამაშოთ“.

კიგანმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც პირველ მატჩში გუნდს ერთგულად ქომაგობდა, თუმც აღნიშნა, რომ ზოგიერთი ფანის ქცევამ ააღელვა. მათმა უხიაგმა შეძახილებმა დევიდ ბექემი მოთმინებიდან გამოიყვანა და მისი უხამსი ჟესტიც ამის შედეგიაო.

ევრო 2000 | ტურის სტატისტიკა

ყველა მეგოლე

სავო მილოშევიჩი (იუგოსლავია)	2
ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენია)	2
ტიერი ანრი (საფრანგეთი)	1
ლორან ბლანი (საფრანგეთი)	1
ოკან ბურუქი (თურქეთი)	1
ნუნუ გომეში (პორტუგალია)	1
ბარტ გოორი (ბელგია)	1
ფრანკ დე ბური (ჰოლანდია)	1
ლუბინკო დრულოვიჩი (სლოვენია)	1
სილვენ ვილტორდი (საფრანგეთი)	1
სტეფან ივერსენი (ნორვეგია)	1
ფილიპო ინძაგი (იტალია)	1
ანტონიო კონტე (იტალია)	1
სტივ მაკმანამანი (ინგლისი)	1
იოჰან მიალბი (შვედეთი)	1
ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი)	1
ემილ მპენზა (ბელგია)	1
მირან პავლინი (სლოვენია)	1
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)	1
პოლ სქოულზი (ინგლისი)	1
ლუიმ ფიგუ (პორტუგალია)	1
მეჰმეთ შოლი (გერმანია)	1

სულ გატანილია 24 ბურთი

გაფრთხილება, 19

პატრიკ ანდერსონი (შვედეთი); ვიტორ ბაია (პორტუგალია); ანდრე ბერგდოლმო (ნორვეგია); ფრანკ დე ბური (ჰოლანდია); ხოსება ეჩებერია (ესპანეთი); ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ჰოლანდია); ნიკო ვან კერკჰოვენი (ბელგია); გერტ ვერჰეენი (ბელგია); ადრიან ილიე (რუმინეთი); პოლ ინსი (ინგლისი); დარკო მილანიჩი (სლოვენია); სინიშა მიხაილოვიჩი (იუგოსლავია); პაველ ნედვედი (ჩეხეთი); ლუკ ნილისი (ბელგია); კარელ პობორსკი (ჩეხეთი); ტომაშ რუეპკა (ჩეხეთი); მიჩელ სალგადო (ესპანეთი); მიქაელ შონბერგი (დანია); გეორგე ჰაჯი (რუმინეთი)

გაძევება, 3

პატრიკ ანდერსონი (შვედეთი); რადოსლავ ლატალი (ჩეხეთი); სინიშა მიხაილოვიჩი (იუგოსლავია)

იუგოსლავია სინიშა მიხაილოვიჩის გაძევების მერე გამოფხიზლდა

I ტურის სიმბოლური ნაკრები „სარბიელის“ ვერსიით



ილია ბაჭყნაძეული

ფაბიენ ბარტეზი, ერიკ დეფლანდრე, ლორან ბლანი, იესპერ გრონკიაერი, დევიდ ბექემი, ლუბინკო დრულოვიჩი, მეჰმეთ შოლი, ზინედინ ზიდანი, ზლატკო ზაჰოვიჩი, ტიერი ანრი, ემილ მპენზა

ნოლომონ ეყლიბაძეული

პაველ სრნიჩეკი, აბელ შავიერი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, პაველ ნედვედი, დევიდ ბექემი, ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, ზლატკო ზაჰოვიჩი, სავო მილოშევიჩი

ვიორეი დამკანია

ფაბიენ ბარტეზი, ფერნანდუ კოუტუ, ფაბიო კანავარო, აბელ შავიერი, ლორან ბლანი, ლუიშ ფიგუ, ანტონიო კონტე, ზინედინ ზიდანი, მეჰმეთ შოლი, ზლატკო ზაჰოვიჩი, სავო მილოშევიჩი

ვიორეი ფაძაყიძე

ოლივერ კანი, მიჩელ სალგადო, ფაბიო კანავარო, მარსელ დესაი, აბელ შავიერი, პაველ ნედვედი, ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, ზინედინ ზიდანი, ზლატკო ზაჰოვიჩი, სავო მილოშევიჩი

კახა თალაკვაძე

ფაბიენ ბარტეზი, მიჩელ სალგადო, ლორან ბლანი, ფილ ნევილი, ფერნანდუ კოუტუ, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, მანუელ რუი კოშტა, ზლატკო ზაჰოვიჩი, ტიერი ანრი, ნუნუ გომეში

ძაძყა ყვანცალიანი

ტომას მირე, ვეგარდ ჰეგემი, ფერნანდუ კოუტუ, ლორან ბლანი, ერიკ დეფლანდრე, ლუბინკო დრულოვიჩი, ზლატკო ზაჰოვიჩი, მანუელ რუი კოშტა, ლუიშ ფიგუ, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

პაატა ყვანცალიანი

პაველ სრნიჩეკი, ფაბიო კანავარო, ლორან ბლანი, ერიკ დეფლანდრე, აბელ შავიერი, რონალდ დე ბური, ლუბინკო დრულოვიჩი, ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, ზლატკო ზაჰოვიჩი, ტიერი ანრი

ნოსო კოცორეიშვილი

ოლივერ კანი, აბელ შავიერი, ლორან ბლანი, ლილიან ტურამი, ლუიშ ფიგუ, პაველ ნედვედი, ზლატკო ზაჰოვიჩი, ლუბინკო დრულოვიჩი, მანუელ რუი კოშტა, ნუნუ გომეში, სავო მილოშევიჩი

ზყრაბ მეძველია

ედვინ ვან დერ სარი, ანდრე ბერგდოლმო, ჰენინგ ბერგი, ლილიან ტურამი, ანტონიო კონტე, სტეფან ივერსენი, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, დევიდ ბექემი, ჟოაუ პინტუ, სავო მილოშევიჩი

ვანო ოქროპირიძე

ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, ფრანკ დე ბური, ალესანდრო ნესტა, ლორენცო სტალენსი, პაველ ნედვედი, ლუიშ ფიგუ, ლუბინკო დრულოვიჩი, ბარტ გოორი, ზლატკო ზაჰოვიჩი, სავო მილოშევიჩი

ბერაბ ოსაციშვილი

ოლივერ კანი, აბელ შავიერი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ანდრე ბერგდოლმო, დევიდ ბექემი, ლუიშ ფიგუ, ზლატკო ზაჰოვიჩი, ლუბინკო დრულოვიჩი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

ოთნეიმ ფოფხაძე

ტომას მირე, მიჩელ სალგადო, ლორენცო სტალენსი, ფაბიო კანავარო, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, პაველ ნედვედი, ტიერი ანრი, ნუნუ გომეში, სავო მილოშევიჩი

ზყრაბ ფოცხვერია

ოლივერ კანი, პაოლო მალდინი, მარსელ დესაი, ერიკ დეფლანდრე, ლორან ბლანი, პაველ ნედვედი, ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, დევიდ ბექემი, ტიერი ანრი, ნუნუ გომეში

ეკაბეძ ხელაძვილი

ფაბიენ ბარტეზი, აბელ შავიერი, მარსელ დესაი, ფაბიო კანავარო, ლორან ბლანი, ლუბინკო დრულოვიჩი, სტივ მაკმანამანი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ზლატკო ზაჰოვიჩი, ნუნუ გომეში

ბრავო, სავო!

„ყველაფერი გემის ჩაძირვას ჰგავდა. იუგოსლავია 0:3 აგებდა და მინდორზე ათი ფეხბურთელი დარჩა. საბედნიეროდ, გამოჩნდა მხსნელი სავო მილოშევიჩი, რომელმაც ეკიპაჟი ჩაძირვას გადაარჩინა“ — ასე აღწერს ბელგრადული გაზეთი „ვლას იავნოსტი“ იუგოსლავია-სლოვენიის შეხვედრას, რომელიც ძალიან დრამატული გამოდგა და ფრედ, 3:3 დასრულდა.

— მიხაილოვიჩის გაძევებამ გუნდზე დადებითად იმოქმედა, დარჩენილი 30 წუთი ბრწყინვალედ ჩავატარეთ, სამი გოლი გავიტანეთ და ანგარიში გავათანაბრეთ — თქვა მატჩის გმირმა სავო მილოშევიჩმა — მაგრამ რა ხდებოდა პირველ 60 წუთს? ვგონებ, ჩვენ სლოვენიელები საათანადოდ ვერ შევაფასეთ და ამიტომ დავისაჯეთ, სამი უპასუხო ბურთი თავიდან სწორედ მათ გაგვიტანეს.

„სპორტსკი ჟურნალი“ სლოვენიელთა მთავარ მწვრთნელ სრეჩკო კატანეცზე და მის იუგოსლავიელ მეტოქე ვუიადინ ბოშკოვზე წერს: „ისინი ძველი ნაცნობები არიან, „სამპდორიაში“ ერთად მოღვაწეობდნენ. კატანეცმა თავისი ძველი მასწავლებელი დაჯაბნა და მის ვარსკვლავებით სავსე გუნდს პირველი 60 წუთის განმავლობაში გვარიანად დასცინა“.

გაზეთ „ბლიცის“ აზრით, იუგოსლავიელებმა მებრძოლი სული მხოლოდ ბოლო 30 წუთში გამოავლინეს, მანამდე კი მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს.

„მოგება მეტისმეტი იქნებოდა, 3:3 ფრეც ძლივს გავახერხეთ — წერს „ბლიცი“ — გუნდი მხოლოდ კატასტროფის ჟამს გამოიცხლდა. გაუმართლათ, ნამდვილად გადარჩნენ. მათ შემოატრიალეს მატჩი, რომელიც აშკარად წაგებული ჩანდა“.

ვინ რა დაინახა 60 წუთში

„ნამდვილად დიდი ჩავარდნა იყო, ათი კაცით დარჩენილ გუნდთან სამბურთიანი უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და ბოლო 30 წუთში ყველაფერი დავკარგეთ — განაცხადა სლოვენიის ერთ-ერთი პრესტიჟული გაზეთის — „დელოს“ მიმომხილველმა ფრანსი ბოჟიჩმა — მწვრთნელმა აშკარად უხეირო შეცვლები გააკეთა. მას მირან პავლინი და საშო უდოვიჩი მოედანზე უნდა დაეტოვებინა“.

„შეძლებს კი სრეჩკო კატანეცი, ფეხბურთელები მომავალი შეხვედრისთვის მოამზადოს? მათ იმედი ნამდვილად გაუცრუვდათ — წერს გაზეთ „ეკიპის“ კორესპონდენტი რობი ბალანტიჩი და დასძენს — სლოვენიელებმა ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მატჩი ითამაშეს, მაგრამ მათ უბრალოდ გამოცდილება არ ეყოთ, რამდენიმე წუთიც რომ გაეძლოთ, ვინ იცის, შეხვედრა როგორ დასრულდებოდა“.

სლოვენიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ სრეჩკო კატანეცის აზრი კი ასეთია: „ძალაყოფილი ვარ, ბიჭებმა ძლიერად ითამაშეს, განსაკუთრებით პირველი 60 წუთი მოინდომეს. მჯერა, ეს დრამატული მატჩი გუნდის ფსიქოლოგიაზე არ იმოქმედებს და მომავალ შეხვედრებს უკეთ ჩავატარებთ“.

გაზეთ „დნევნიკის“ კორესპონდენტი იოჟე ოკონი აცხადებს: „3:0 იგებდნენ და ათი კაცის წინააღმდეგ თამაშობდნენ, ამიტომ ნაადრევად დაიმშვიდეს გული. ამის ბრალია, ანგარიში რომ ვერ შეინარჩუნეს და სამი ქულა ქარს გაატანეს“.

დუბლის ავტორი, სლოვენიელთა ლიდერი ზლატკო ზაჰოვიჩი ფიქრობს, რომ მათ უბრალოდ ყურადღება მოადუნეს და გამარჯვებაც ამიტომ ვერ შეინარჩუნეს.

მათეუსი ჟურნალისტებზე ბრაზობს, კანი მათეუსზე

ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში რუმინეთის ნაკრებთან ნათამაშევი ფრის შემდეგ გერმანელმა ჟურნალისტებმა ბუნდესნაკრების ვეტერან ლიბეროს ლოთარ მათეუსს კომენტარი სთხოვეს. ონდავ აღელვებულმა ფეხბურთელმა კი უპასუხა: „მატჩის შედეგით დიდად არ გავვოცებულვარ, თქვენი შეკითხვა და კრიტიკა კი ოდნავ მაკვირვებს. ბევრი იმასაც შემახსენებს, რომ უკვე 39 წლის გავხდი და ეგებ ჩვეულ ფორმაში აღარ ვარ. მე კი პირიქით გეკითხებით, თქვენ ჩემს ასაკს და სპორტულ ფორმას აკრიტიკებთ თუ თამაშს:? მჯერა, 75 წუთს უპრობლემოდ ვითამაშებ. როცა სამი კვირა იავადმყოფებთ, ნუთუ ათგრადუსიანი ყინვის დროს მაშინვე ქუჩაში გამოხვალთ? ვგონებ, არა... უნდა მოიცადოთ, რომ ნელ-ნელა მომჯობინდეთ. ფეხბურთშიც სწორედ ასეა...“

ლოთარ მათეუსი მართლაც აღშფოთდა და დამსწრე ჟურნალისტებს არაფერი შეარჩინა — არ ვიცი, მეტი რა უნდა გავაკეთო, მეტს რაღას ელიან? ჩემი მოვალეობაა, დაცვის ხაზი მოვაწესრიგო და გრძელი პასებით გუნდის შეტევები წამოვიწყო. სულ ესაა, რასაც ვაკეთებ.

ოლივერ კანმა რუმინელებთან მატჩის შემდეგ ნაკრების დაცვა გააკრიტიკა: „ეს თვითმკვლელობა იყო, იძულებული გავხდი, ლიბეროს პოზიციაზე მეთამაშა. შემდგომში, შესაძლოა ძალიან წინ გამოვიდე და მერე... ბარათითაც დავისაჯო. ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება.“

ლოთარ მათეუსი მეკარის რეპლიკას ასე გამოეხმაურა: „თანამედროვე ფეხბურთი ასეთია, მეკარე თამაშშიც უნდა ჩაერთოს, კარის ხაზიდან 10-15 მეტრზეც გამოვიდეს, თუმც ყოველთვის უნდა მოელოდეს, რომ მას ნებისმიერი პოზიციიდან დაურტყამენ. ამას კანი ნამდვილად კარგად ახერხებს.“

B ჯგუფი. II ტური. 15 ივნისი. 23⁴⁵

შვედეთი — თურქეთი

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

მუსტაფა დენიზლი ჩაგრულთა მხარეზეა

მეორე ტურია. პირველმა შვედებს და თურქებს იმედგაცრუება მოუტანა. თუმცა მათ სიმპათიებიც დაიმსახურეს, ოღონდ არა იმდენად კარგი თამაშის გამო, რამდენიც მსაჯთაგან დაჩაგრისთვის. ადამიანს ხომ უსამართლობის მსხვერპლთა მხარდაჭერა სჩვევია. მაგრამ ალბათ არც ემილ მპენზას ხელზე და ფილიპო ინძაგის წაქცევაზე ღირს ბევრი ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, ახლა — მეორე ტურის წინ.

დღეს კი, შესაძლოა, ჩემპიონატიდან გავარდნილი პირველი გუნდი გაირკვეს. თუ შვედეთი-თურქეთის მატჩი ფრედ არ დასრულდა, ერთ-ერთს ბილეთების შეკვეთა მოუწევს — დამარცხებულისთვის ჯგუფში ბოლო თამაში ფორმალობადღა იქცევა.

იტალიასთან წაგების მერე თურქთა მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ პრესკონფერენციაზე თქვა: „მადლობა ბიჭებს, მათ თავი დადეს, მაგრამ არ გაუმართლათ, დაიჩაგრნენ.“ რა გასაკვირია, რომ ამ სიტყვების მთქმელმა მწვრთნელმა მეორე შეხვედრისთვის შემადგენლობის გადახალისება და კორექტივების შეტანა არ ინდომა. კვირას არნემის „ეელრედომზე“ მოთამაშე თერთმეტ თურქს დღეს ეინდჰოვენის „ფილიპსზე“ ვიხილავთ.

შვედთა მეორე მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა კი თავისი გუნდის თამაში უფრო კრიტიკულად შეაფასა და მსაჯის შეცდომაზეც ნაკლები ილაპარაკა: „თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე თამაში აგვერია. დაცვასა და ნახევარდაცვას შორის უზარმაზარი ნაპრალი გაჩნდა.“ ამ ნაპრალის ამოვსებას ლაგერბეკი და ტომი სოდერბერგი მინდორზე ახალი ფეხბურთელების გაყვანით შეეცდებიან.

ბელგიასთან შეხვედრაში შვედთა უხუცესმა ფეხბურთელმა, 36 წლის როლანდ ნილსონმა (112 მატჩი ნაკრებში) მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. შესვენების შემდეგ ის ტედი ლუკიჩმა შეცვალა. ამჯერად ლუკიჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიკავებს ადგილს. იგივე ითქმის სკანდინავიელთა მთავარ იმედ ჰენრიკ ლარსონზეც. ის იორგენ პეტერსონის ნაცვლად ითამაშებს. შვედთა რიგებში ერთი ცვლილებაც იქნება, ოღონდ უკვე იძულებითი ხასიათის. ევროპის ჩემპიონატზე პირველ გაძევებულ ფეხბურთელს, შვედთა კაპიტან პატრიკ ანდერსონს სარაგოსელი გარი სუნდგრენი შეცვლის.

თუმცა შემადგენლობის გადახალისება ტაქტიკის შეცვლას არ ნიშნავს. ტომი სოდერბერგის თქმით, ისინი კვლავაც 4-4-2 სისტემას მიმართავენ: „საკმარისად გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ჩემს მიერ შერჩეულ სქემას მოერგებიან.“ ამასთანავე მან დასძინა, რომ დაცვასა და ნახევარდაცვას შორის არსებული სიცარიელის ამოსავსებად შუახაზის ერთ მოთამაშეს ოდნავ უკან დასწევს.

რაც შეეხება თურქთა და შვედთა ურთიერთშეხვედრებს, აქამდე ასეთი ოთხი იყო. თურქები სტოკჰოლმს პირველად 1951 წელს ესტუმრნენ. თამაში ამხანაგური გახლდათ და მასპინძლებმა 3:1 იმარჯვეს. იმავე წელს შვედები საპასუხო ვიზიტად სტამბოლს ჩავიდნენ და 0:1 წააგეს. მას მერე ეს გუნდები მთელი 44 წელი არ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ალბათ კიდევ დიდხანს არ მოუწევდათ, რომ არა შემთხვევა — წინა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ისინი ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ერთი თამაში სტამბოლში მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულდა, საპასუხო კი — ფრედ. მაშინ შვედები თურქეთს ექვსი ქულით ჩამორჩნენ, ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და ევროპის მიღმა დარჩნენ. საინტერესოა, რომ დღეს მინდორზე ოთხი ფეხბურთელი იქნება, ვისაც მაშინ მეტოქისთვის გოლი გაუტანია, თურქთაგან სერგენ იალჩინი და ჰაქან შუქური, ხოლო შვედთაგან — ნიკლას ალექსანდერსონი და კენეტ ანდერსონი. თურქთა კარი იორგენ პეტერსონსაც დაულაშქრავს, მაგრამ ზემოთაც ვთქვით, მას დღეს ჰენრიკ ლარსონი შეცვლის.

ბოლოს კი თურქთა ბანაკიდან მოსული ერთი ამბავიც ვახსენოთ. როგორც ჩანს, მუსტაფა დენიზლისა და მის თანამემამულე ჟურნალისტებს შორის შავმა კატამ გაირბინა. საქმე ის გახლავთ, რომ თურქული მასმედია პირველმა მარცხმა ერთობ შეაშფოთა და მწვრთნელს რჩევა-დარიგებებსაც არ აკლებს. ამან დენიზლი გააბრაზა და განაცხადა, ჟურნალისტთა ჭკუაზე გუნდის მომზადებას არ ვაპირებო. ჰოდა, დაჭამენ ერთმანეთს, აბა, რა იქნება.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები

შვედეთი: მაგნუს ჰედმანი; ტედი ლუკიჩი, იოახიმ ბიორკლუნდი, ოლოფ მელბერგი, გარი სუნდგრენი; ნიკლას ალექსანდერსონი, დანიელ ანდერსონი, ფრედერიკ ლიუნგბერგი, იოჰან მიალბი; კენეტ ანდერსონი, ჰენრიკ ლარსონი

თურქეთი: რუშთუ რექბერი; ალფაი ოზალანი, ოგიუნ თემიზქანოღლუ, ფათიჰ აკიელი; სერგენ იალჩინი, ოკან ბურუქი, ტაიფურ ჰავუტკუ, აბდულა ერკანი, დავალა უმითი, ტაიფუნ კორკუტი; ჰაქან შუქური

დისკვალიფიცირებული

შვედეთი: პატრიკ ანდერსონი (1 მატჩი)

ურთიერთშეხვედრები

შვედეთი	4	თურქეთი
1	მოგება	2
1	ფრე	1
2	წაგება	1
6	ბურთები	6

მუსტაფა დენიზლი (შუაში) აბდულა ერკანს (მარცხნივ) და არიფ ერდემს არიგებს

ეიო ახვლედიანი

წერილები აღმოსავლეთისაკენ

მადრიდიდან

კაცური საქმე, კაცური სიხარული... აქეთ რუი კოშტა, იქით ვიტორ ბაია, შუაშიც უცხოდ ფერადი აბელ შავიერი... კადრს მიღმა 0:2-დან აყირავებული ინგლისი და პორტუგალიელი ხალხის დიდი ჟივილ-შივილი. ხალხზე გახსენდება: წინა დღეს ტალინში ქართველებმა ესტონელებთან წააგეს. სულ პატარა, პაწაწკინტელა სიხარულიც დაილია ჩვენთვის...

ჟოზე ლუიშის ყველაფერი გამართლდა

ლისაბონში, ზედ ზღვის პირიდან, ვაჭართა მოედნიდან რომ გახედავ ფერდობებზე შეფენილ ქალაქს, მიხვდები — არსად არის სიღარიბე ასეთი ლამაზი, დაუვინყარი და გემრიელი, როგორიც აქ.

სიღარიბეს რომ ვამბობ, ჩვენსას ნუ წარმოიდგენთ. უბრალოდ, პორტუგალია ყველაზე ღარიბია ევროკავშირის ქვეყანათა შორის და აქ სახლები ისეთი მოვლილი არ არის, როგორიც საფრანგეთსა და გერმანიაში, ადამიანებსაც არ აცვიათ ლისაბონის ცენტრში ისე, როგორც ლონდონსა და პარიზში, მაგრამ ლისაბონი სწორედ ის არის, რასაც ჩათვლემილ სილამაზეს, უბეში შენახულ საყვარელ წიგნს დაარქმევდა კაცი.

აქედან, ვაჭართა მოედნიდან მარჯვნივ რომ აუყვები, გაივლ-გამოივლი ლისაბონის ორ ყველაზე ცნობილ და საუცხოო უბანში — შედარებით ღარიბულ გრაჩასა და მასზე წაბმულ უფრო წელგამართულ მოქალაქეთა ალფამაში.

აი, ეს გახლავთ ნაღდი ქალაქური ლისაბონი. ცნობისთვის — პორტუგალიურ ფილმთა უმრავლესობის მოქმედება განცდებითა და პრობლემებით სავსე გრაჩაში ხდება. ალფამას უპნის ერთ-ერთ დუქანში კი ფხუკუნით შეხვდნენ ჩემს განცხადებას, გუშინ ბენფიკას უბანი დავათვალიერე-მეთქი.

ალფამა ასეთი უბანია — ჩვენებურ მთაწმინდას ჰგავს და ადგილ-ადგილ ციხე-კოშკებით, ტაძრებით, მწვანეში ჩაფლული კიბეებითა და საიდანღაც ამოზრდილი სამიკიტნოებით შეგახსენებს — გული აქა ძევს.

როცა ღამდება, ალფამაში არ ღამდება — აქაურები იმ თავიანთ დაბრეცილ ქუჩებში გამოეფინებიან დიდიან პატარიანად და ან სამიკიტნოებში მხიარულობენ, ან ხალვათი სადარბაზოების კარებთან. აქ სიგრილეა.

ალფამას ქუჩებს ვერანდები აქვს: შეუხვევ და უცებ — ვერანდა, შეყვარებულთა შეხვედრის ნაჩვევი ადგილი. მთელი ბარის ლისაბონი შენს ფერხთითაა...

მაგრამ ჩვენ ხომ ფეხბურთზე უნდა ვილაპარაკოთ?

ეს იყო კვირას, საღამოს ათ საათზე — მეორე დღეს პორტუგალია ინგლისს ხვდებოდა. აქედანაც შორეულ ეინდჰოვენში. მაგრამ ლისაბონი ისეთი ქალაქია, რომ დიდად არ გაგახსენდება ალან შირერის ფეხის ტკივილი, მარტინ ონილის „სელტიკში“ გადასვლა და პაულიო სოუზას საკლუბო მიღწევანი.

და მაინც, ფეხბურთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე — მეც ჩემი ანგარიში მქონდა, დარწმუნებული ვიყავი, ჰოლანდიელები ჩეხებს ვერ მოუგებდნენ, ქალაქში ნაბოდიალებმა უკვე ვიცოდი, რომ პირველ ტაიმში გოლი არ გასულა და გვარიანად მოშიებული ტელევიზორიან დუქანს დავეძებდი.

ქვემოთ, ტურისტულ ლისაბონში ბევრი პაბია, იქ ტელევიზორებიც ვნახე, მაგრამ მე ეგრე მგონია, რომ ლისაბონში პაბში შესვლა ცოდვაა. პაბი ლონდონში, გლაზგოსა და დუბლინში. აქ კი...

ვიპოვე პატარა, ჩახუთული დუქანი, იმერული სკამებითა და ორადგილიანი მაგიდებით. რა თქმა უნდა, გაჭედილი, გვიანი ვახშმის მოყვარულებით სავსე. პატრონმა, ათი წუთი უნდა მოიცადო, სანამ მაგიდა გათავისუფლდებაო. ჩამოვდექი დახლთან და ვუყურებ ჰოლანდიელების და ჩეხების თამაშს ჩანეული ხმით (ვის სცხელა ფეხბურთისთვის? ვახშამი და ღვინოები აქ ისე ეხერხებათ...).

ბარე ოცი წუთი ვიდექი ასე და მერე თვალი გამექცა კუთხის მაგიდისკენ, რომელსაც ერთი შავტუხა, შავულვაში, გალეული და მელოტი კაცი უზის. ნახევარლიტრიანით შავი ღვინო უდგას, ომლეტსა და სალათას ჭამს და მიყურებს. ასეთ კაცებს ხშირად ნახავ ჩვენთან ბაზრობის მიდამოებში. მაგრამ ამას მეტად სუფთად, თუმცაღა, როგორც პორტუგალიელთა უმრავლესობას, უბრალოდ ეცვა. ლია ვარდისფერი პერანგის ზედა ღილიც კი შეკრული ჰქონდა.

ამ პატარა კაცმა მანიშნა, ჩემს მაგიდასთან ჩამოჯექი, არაფერი მოხდება, თუ ერთად ვივახშმებთო. მერე გამარკვია მენიუში, ამირჩია შემწვარი თევზი, მოხარშული კარტოფილი და პიტნა, მითხრა, ამ თევზს ალენტეჟური თეთრი ღვინო „ბორბა“ უხდებაო. ჟოზე ლუიში ერქვა და ელექტრიკოსი გახლდათ, ოღონდ საკუთარ თავს ჟუზე ლუიშს ეძახდა, რასაც იმით ხსნიდა, რომ პორტუგალიელები სიტყვებს ცხვირში წარმოთქვამენ და „ო“ „უ“-დ მოისმისო.

ჩემი სადაურობა რომ გამოიკითხა ჟოზე ლუიშმა, პირდაპირ თქვა, ჟორჟიე იგოვეა, რაც იბერია. პირნეებიც იბერიაა და ერთმანეთს ბიძაშვილებად მოვხვდებითო. ერთი ელექტრიკოსი კაცისგან ეს ნამეტანი მომეჩვენა, მაგრამ მალევე გაირკვა, ჟოზე ლუიშს კინოსტუდიანი ემუშავა გამნათებლად.

ლისაბონში რაღა გინდაო, ესეც აინტერესებდა ამ კაცს და ვუთხარი, ფეხბურთის ჟურნალისტი ვარ, ეგებ ორიოდ სტრიქონი შევანიო ჩემს გაზეთს აქაურობის შესახებ-მეთქი.

ამან ჩააფიქრა და მეტად სერიოზულად მითხრა, მაშინ უნდა იცოდე, რომ ლისაბონს ერთი ღილაკი აქვს, „სპორტინგიო“. რა შეიტყო, რომ „ბენფიკაზეც“ შეგვეძლო ლაპარაკი, მკითხა, ჩამომხტარი სადა ხარო. „ალფალიშბოაში“-მეთქი. მერე ფანჯრიდან არ გადაგიხედია, არ დაგინახავს ერთი დიდი სანაგვე, რომელშიაც ტლუ და ბნელი ხალხი მიმოდის და რომელსაც ბენფიკა ჰქვიაო?

— როგორ არა, გუშინ მთელი დღე მანდ დავდიოდი, — მივუგე მე.

— იქ ასეთ თევზს ვერ შეჭამ. სიმინდით გაგხეთქავენ. ვერ აკეთებენ ასე. „სპორტინგი“ თვრამეტ წელიწადს იბრძოდა ჩემპიონობისთვის და ჰა, აგვიხდა. „სპორტინგს“ ნასწავლი, ჭკვიანი ხალხი ქომაგობს. ანუ ჩვენ, აი, ეს უბნები, „ბენფიკა“ კი...

— ეუსებიოზე ვეკითხებოდი, ეგ ხომ მანდ თამაშობდა.

— მერე, რაო? ვერაფერს გეტყოდნენ.

— ალმადაში ცხოვრობსო, თუ კაშკაიშშიო...

— ალმადაში რა უნდა? ალმადა კუნძულზეა... ალმადაში სახლები კი არა, ჩემოდნებია... ედუარდო, გესმის, ბენფიკაში რა უთქვამთ? — დახლთან მდგომი ედუარდო სიხარულით შეხვდა ამ ამბავს — ალმადაში ცხოვრობსო... ეუსებიო აი, იქ ცხოვრობს — ქუჩაში გამოყვანა ჟოზე ლუიშმა და დაბლა გაიშვირა თითი. კაშკაიშში კი ვილა აქვს. იქ კარგი ზღვაა. საერთოდ, ეუსებიო შინ არ არის, ახლა ჰოლანდიაშია. ფედერაციაში აქვს დიდი დირექტორის თანამდებობა. აი, ხვალ რომ...

და ჟოზე ლუიში დადუმდა.

— მოდი ხვალ აქ, ჩვენ აქ ვუყურებთ. ედუარდო... ჟორჟეც მოვა. გაიგე? — მერე კი საიდუმლოდ გამანდო — აი, იმ მაგიდასთან, ბიჭები ინგლისელები არიან. ის კაციც, სათვალიანი, წიგნს რომ კითხულობს, ინგლისელია. ბინებს ყიდულობენ ალფამაში, ქვემოთაც, ალტო ბარიოში. მოსწონთ აქაურობა. გავვიინგლისურეს დუქანი. ღვინოს სვამს და თან წიგნს კითხულობს, გინახავს ეგეთი? მე არ მომწონს ინგლისელები...

— რატომ?

— შეკითხვაზე ჟოზე ლუიშმა ორი თითი ნაივლო ზედა ღილზე, ცხვირი აიბზუა და თქვა:

— აი, ასეთები არიან... დაიმახსოვრე, ხვალ ფიგუ გაიტანს. ჟოაუ პინტუც გაიტანს და მე მინდა, ნუნუ გომეშმაც გაიტანოს.

მე გულწრფელად მეგონა, რომ ინგლისელები მოიგებდნენ.

მერე მეორე „ბორბა“ გავხსენით — ჟოზე გაიქაჩა, ედუარდოც ჩამოჯდა.

— იმან ორანჟი ჩაასხა წითელ ღვინოში — გვანიშნა კეთილად გაღიმებულ სათვალიანზე.

— აი, ხომ ხედავ — წარბები შეჭმუხნა ჟოზე ლუიშმა — ამოდი ხვალ. ნახავ, რასაც ვუზამთ. „ალფადან“ აქამდე შორია, მაგრამ ტაქსი იაფია.

ჰოლანდიას კი უკვე დაერტყა პენალტი.

მე ვიცრუე, რომ ავიდოდი. მეორე დღეს მატარებელში უნდა ჩავმჯდარიყავი და მადრიდისკენ დამეჭირა გეზი.

უკვე ორშაბათ საღამოს, მადრიდში, ვია გრანდეს კიდეზე, უევროსპორტო ნომერში, „ტევეე“-ს არხზე ვუყურებდი ინგლისელთა და პორტუგალიელთა მატჩს და 22-ე წუთის შემდეგ გამნათებელი ჟოზე ლუიში მახსენდებოდა. არა მარტო მეგოლეები, მათი რიგიც კი გაარტყა. თბილელ მაზავიკებსაც შეშურდებოდათ. ჟოზე ლუიი კი არც მაზავდა და არც არაფერი. სამაგიეროდ, იცოდა ბევრი რამ, მათ შორის ორი იბერიის ამბავიც. გამნათებელი კაცი იყო და ერთ საათში იმდენი მასწავლა უცხოელს, რომ სადღეგრძელოები სულაც არ დასჭირვებია.

მე კი ინგლისელების მხარეს ვიყავი. რეპორტაჟის შემდეგ გარეთ გამოვედი და სანტა ანას მოედნისკენ გავწიე. დღისით იქაურ გერმანულ ბარში თვრამეტი მთვრალი ინგლისელი ვნახე და ვიფიქრე, ეგებ კიდევ ღრიალებენ „ქომ ონ, ქომ ონს“-მეთქი. აღარ იყვნენ.

სანტა ანა ის მოედანია, კალდერონისა და გარსია ლორკას ძეგლებს შორის დადერბენკებულ მარიხუანას რომ ყიდიან შავი ბიჭები. პორციას თუ ჩეკს აქაურულად „ჩოკოლატო“ ჰქვია.

ხოლო შესახვევებში, ჯადოსნურ სამიკიტნოებში, პატარ-პატარა გურმანულ სამოთხეებში ჭკუიდან შესაცდენ მოხილიონესს გითავაზებენ: გადახსნილი ნიჟარები ჯიგრულ სოუსში, პურის ყუა აუცილებლად გიჟუა-ყარაჩოელივით უნდა ჩაალბო შიგ, ხოლო თუკი შეგატყობენ, რომ ცხარე გიყვარს, წინაკის ნაყენის სამად სამ ცრემლს ჩაგიწვეთებენ სირჩაში — გადაჰკარი და მოხილიონესი ისე მიირთვიო.

და მადრიდში...

მადრიდისას კიდევ მოვიწერ.

ბერაძ ბაციშვილი

13 ივნისი

ევროპის ჩემპიონატის დღიური

მილოშევიჩმა ფეხბურთი გადააგვარა

ბოისამ ჩხუბი ვერ ნახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავო მილოშევიჩი იუგოსლავიელებმა მხსნელად შერაცხეს, ქათინაურები არც სხვებმა დააკლეს

ამას წინათ იუგოსლავიის და სლოვენიის საკალათბურთო ნაკრებების მატჩს ვუცქირე. მეტოქეები მეორე შემადგენლობებით, ულეგიონერებოდ თამაშობდნენ. მიუხედავად ამისა, მატჩით აღტაცებული დავრჩი. კალათბურთში სიტუაციის სწრაფი ცვლილება, აბა, ვის უკვირს, მაგრამ იქ რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა: ლამის ყოველი შეტევის შემდეგ დაწინაურებული გუნდი იცვლებოდა.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ევრო 2000-ის დღიურის წერა მომიწევდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ამ ქვეყნების საფეხბურთო დაპირისპირება კალათბურთისებრ წარიმართებოდა: სამი გოლი ექვს წუთში — ეს უფრო კალათბურთს ჰგავს, ვიდრე ფეხბურთს.

იუგოსლავიაში პრეზიდენტად ზის სლობოდან მილოშევიჩი. ეს კაცი ნახევარ ქვეყანას უყვარს, ნახევარს — ჭირის დღესავით ეჯავრება. მილოშევიჩმა თავისი უგუნური პოლიტიკით იუგოსლავია გადააგვარაო — გაჰკივის ოპოზიცია და ქვეყნის დედაქალაქ ბელგრადში მიტინგს მიტინგზე მართავს.

ეტყობა, მილოშევიჩთა გვარს რაღაც-რაღაცეების გადაგვარების ნიჭი აქვს. თუკი სლობოდან მილოშევიჩმა იუგოსლავია გადააგვარა (ოპოზიციის მტკიცებით), სავო მილოშევიჩმა — ფეხბურთი გადააგვარა და კალათბურთს დაამსგავსა. რატომ? იმიტომ, რომ იმ ექვს წუთში მან ორი გოლი გაიტანა. ახლა რამდენი კალათბურთელია, ექვს წუთში ორ საჯარიმოსაც რომ ვერ აგდებს?!

უმადური უნდა იყოს ფეხბურთის მოყვარული იუგოსლავიის ნებისმიერი მოქალაქე, პოზიციონერი თუ ოპოზიციონერი, მემარჯვენე თუ მემარცხენე, რომ ქვეყნის ნაკრებისა და ესპანეთის „სარაგოსას“ თავდამსხმელ სავო მილოშევიჩზე აუგი დასცდეს. ამ ბიჭმა იუგოსლავიას დიდი სიხარული აჩუქა.

პარადოქსია, მაგრამ მილოშევიჩმა სლოვენიელებსაც აჩუქა, ოღონდ სიხარული კი არა, ლამაზი საფეხბურთო მატჩი. თუ ჩემი არ გჯერათ, მოუსმინეთ ამის თვითმხილველს, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრ ვლადიმერ ბოისას, რომელიც ამჟამად სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაშია და იქაურ „ოლიმპიაში“ თამაშობს: „ვარჯიშის შემდეგ ლიუბლიანის მთავარ მოედანზე წავედი და მატჩს გიგანტურ ტელეეკრანზე ვუყურე. ბევრი ხალხი იყო, სლოვენიელებიც და იუგოსლავიელებიც. გაიტანა სლოვენიამ პირველი გოლი — მოედანი ახმაურდა, მეორე — კიდევ უფრო, მესამე გოლის შემდეგ კი ყურებზე ხელი ავიფარე. გაიტანა იუგოსლავიამ პირველი — სლოვენიელთა ღრიანცელს იუგოსლავიელთა ყიჟინა დაერთო, მეორე გოლზე ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა, ხოლო ანგარიში რომ გათანაბრდა, იქ ყოფნა შეუძლებელი გახდა. მაინც ბოლომდე დავრჩი, მეგონა, ჩხუბი ატყდებოდა, მაგრამ მსგავსი ვერაფერი შევნიშნე. სლოვენიელები და იუგოსლავიელები ერთმანეთს კარგ თამაშს ულოცავდნენ. სლოვენიელებმა თქვეს ეს რა ბიჭი ყოფილა მილოშევიჩიო, იუგოსლავიელებმა კი მიუგეს — არც თქვენი ზაჰოვიჩია ნაკლებიო. ეს ამბავი საერთო საყოველთაო ლუდის სმით დასრულდა“.

იუგოსლავიურმა პრესამ ნაკრები „ტიტანიკს“ შეადარა: „0:3 ვაგებთ და 10 კაცით დავრჩით. ჩვენი „ტიტანიკი“ სლოვენიურ აისბერგს დაეჯახა და ჩასაძირად გაემზადა. ბედად, გამოჩნდა სავო მილოშევიჩი — გონიერი კაპიტანი, რომელმაც ხომალდი გადაგვირჩინა“.

იუგოსლავიის ნაკრების თამაშმა აღტაცება მოსისხლე კოსოვოშიც გამოიწვია. ნახეთ, რას ამბობს 14 წლის ლირაქ არიფაი, ტომით ალბანელი, რომელიც ქალაქ პრიშტინას ჭაბუკთა გუნდში თამაშობს: „როცა დამოუკიდებელ კოსოვოს საფეხბურთო ნაკრები ეყოლება, ვისურვებდი, იგი იუგოსლავიის გუნდივით ძლიერი და ვაჟკაცური ყოფილიყოს“.

სააგენტო „როიტერმა“ კი გამოთვალა, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 0:3 ჩამორჩენა აქამდე ერთადერთხელ გაბათილებულა: 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალია ამ ანგარიშით აგებდა კორეასთან, მაგრამ დიდი ეუსებიოს წყალობით 5:3 მოიგო.

ერთი სიტყვით, დიდებული თამაში გამოვიდა. იმდენად, რომ ამ დღის დანარჩენი მოვლენები, ცოტა არ იყოს, დაჩრდილა. თუმცა, ევრო 2000 გრძელდება და ბალკანურ დერბიზე ვერ შეწყდება.

ბექემი გადარჩა. უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ინგლისელი ფეხბურთელის მიერ მაყურებლებისთვის ზეაღმართული შუათითის ჩვენება კრიმინალად არ ჩათვალა და, შესაბამისად, არც სანქცია დაადო. ინგლისელ ფანებს მიმართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა. რა მოხდა, ვის არ წაუგიაო, დაახლოებით მსგავსი რამ ბრძანა ბატონმა ბლერმა და გულშემატკივრებს სთხოვა, ნაკრებს ახლა სჭირდება თქვენი თანადგომა და ზურგს ნუ შეაქცევთო. პრემიერ-მინისტრი იმ 16 მილიონ ბრიტანელს შორის ყოფილა, ვინც ორშაბათს ინგლისის პორტუგალიასთან მარცხს ტელევიზორში უცქირა.

ინგლისს მომავალი მატჩი გერმანიასთან აქვს. ბოლო დღეებში გერმანელ გულშემატკივართა დიდი ნაკადი მიაწყდა ბელგია-ჰოლანდიას. თუმცა, გერმანიის, ჰოლანდიისა და ბელგიის მესაზღვრეებმა მოიალაპარაკეს და საზღვარზე მკაცრი კონტროლი დააწესეს. ადრე აღრიცხვაზე აყვანილი 51 ხულიგანი ბენილუქსში არ შეუშვეს, სულ კი, ევრო 2000-ის დაწყებიდან, 108 ათას კაცს შეუმოწმეს დოკუმენტები საზღვარზე. იმასაც დავძენთ, რომ ამ საქმეს 1200 მესაზღვრე ემსახურება.

მთელმა ქვეყანამ ნახა, რა ვაჟკაცურად გადაიტანა ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა ქუთუთოს მიკროოპერაცია. თითქოს ჩეხი იან კოლერის თავით მიყენებული ტრავმა არ ეყოფოდაო, სტამს ახლა სხვა სატკივარი გაუჩნდა. 13 ივნისს ჰოლანდიის ქალაქ ჰენდერლოში ვარჯიშისას მამაცმა ჰოლანდიელმა საზარდული დაიჭიმა. დანიის წინააღმდეგ სტამის თამაში საეჭვო გახდა. ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა სტამს ტრენაჟორებზე ვარჯიში ურჩია, თან ექიმებსაც მიმართა, თქვენი იმედი მაქვსო.

სანამ სტამი იტანჯებოდა, იტალიის ნაკრებმა ფრიად კეთილშობილური საქციელის ჩადენა გადაწყვიტა. მთელი გუნდი მივა „მეფე ბოდუენის“ სტადიონზე და საგანგებო ადგილს ყვავილებით შეამკობს. 15 წლის წინ „მეფე ბოდუენს“ „ეიზელი“ ერქვა და დიდი ტრაგედიის ადგილის გახდა: „ლივერპულსა“ და „იუვენტუსს“ შორის გამართული ჩემპიონთა თასის ფინალის წინ 39 გულშემატკივარი დაიღუპა. იტალიის ნაკრები სწორედ მათ ხსოვნას მიაგებს პატივს. „იმ ტრაგედიიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ ტკივილი არ განელებულა“ — განაცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ და თვისტომ ფეხბურთელებს გადაწყვეტილება შეუქო.

13 ივნისს გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ერიხ რიბეკი 63 წლისა გახდა. ყველაზე ხმაურიანი საჩუქარი ჰერ რიბეკს „კაიზერსლაუტერნის“ ნახევარმცველმა მარიო ბასლერმა უძღვნა. ექსცენტრიულმა ფეხბურთელმა მწვრთნელს „უხასიათო, გაიძვერა და ორპირი“ უწოდა. ცხადია, ბასლერი დაბოღმილია — რიბეკმა იგი ევრო 2000-ზე არ წაიყვანა, მაგრამ ამჯერად მარტო ამის გამო არ შემოსწყრა. სუპერ-მარიომ ამა წლის 26 მაისის ამბავი გაიხსენა. ამ დღეს თბილისში არ მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი, სამაგიეროდ, მიუნხენში ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარი მატჩი გაიმართა. მოდით, ბასლერს მოვუსმინოთ: „გაიძვერა რიბეკმა უთხრა მათეუსს, რომ გამოსათხოვარ მატჩზე არ მივეწვიე. გაფრთხილებული ვიყავი, რომ უნდა მეთამაშა და ამისთვის მანქანით მიუნხენში მივდიოდი. სწორედ ამ დროს დამირეკა ლოთარმა და მითხრა, ნულარ ჩამოხვალო. ეს რიბეკის ბინძური ხრიკი გახლდათ“.

ევრო 2000-ით ატეხილი ხმაური მთელ დედამიწას გადასწვდა და გამოძახილი აზიაშიც ჰპოვა. ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში უხვადაა „მასაჟის სახლები“, რომლებსაც ამგვარი სახელი ზრდილობის გამო ეწოდება, თორემ ყველა წეს-კანონით კლასიკურ ბორდელებს წარმოადგენს. ამათ პატრონებმა კლიენტურის შემატების მიზნით დიდი ტელევიზორები დააყენეს და ევროპის ჩემპიონატის მატჩებს აჩვენებენ. მომსახურე პერსონალს, ანუ მეძავებს, ევრო 2000-ის მონაწილეთა ფორმები ჩააცვეს და უკვე ფეხბურთის მოყვარული კლიენტებისგან შემოსული ფულის თვლაში არიან.

ფეხბურთი მართლა დიდი ბიზნესია.

გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის აზრი

ფეხბურთში გამორიცხული არაფერია, მაგრამ სრულიად შემთხვევითაც ცოტა რამ თუ ხდება.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანეთს ბევრი ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდა. სავსებით საფუძვლიანი ვარაუდია — ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ნახევარფინალისტებიდან სამი ესპანური კლუბი იყო.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, კამაჩოს გუნდში კონკურენცია იმდენად დიდია, რომ ჩემპიონთა თასის მომგები „რეალის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ფერნანდო მორიენტესი ნაკრებში ვერ მოხვდა. თადარიგში არიან „ვალენსიას“ ლიდერები — გაისკა მენდიეტა, ხერარდ ლოპესი და „რეალის“ მეკარე იკერ კასილასი.

და აი, ესპანეთის დამარცხება ისეთი ქვეყნის გუნდმა მოახერხა, რომელსაც მსოფლიოს და ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი 20 წლის წინ 50-კილომეტრიანი სათხილამურო კროსის მსგავსი შეჯიბრი ეგონა.

ნაკლებტექნიკურმა, მაგრამ ტანმაღალმა ნორვეგიელებმა ესპანეთთან ძალიან საინტერესო, 4-1-4-1 ტაქტიკური სქემა გამოიყენეს. ნილს იოჰან სემბმა დაცვითი ტაქტიკა აირჩია, საკუთარი გუნდის თამაში სწრაფ კონტრშეტევებზე ააგო და ამან კიდეც გაუმართლა. ძალიან ძნელია, ნორვეგიის დარი დაცვის გარღვევა. როცა საჯარიმოს სიახლოვეს თითქმის არ არის თავისუფალი სივრცე, გოლი ნაკლებმოსალოდნელია, მეტოქის ჩანოდებები, რომელთაც მაღალი ნორვეგიელები გაუჭირვებლად იგერიებდნენ, ესპანელთათვის სახეიროს არაფერს იძლეოდა, უფრო მეტიც, ნორვეგიელები შესაძლებლობისთანავე სწრაფად გადადიოდნენ კონტრიერიშზე.

ესპანეთ — ნორვეგიის ერთადერთი გოლი სტანდარტულ მდგომარეობას მოჰყვა. ვერ ვიტყვით, რომ ეს ნორვეგიელთა „საშინაო დავალება“ იყო, მაგრამ ეს კია, სკანდინავიელებმა მეტოქის კართანაც გამოიყენეს სიმაღლეში უპირატესობა, ყოველივეს გამოსვლაზე თამაშისას ესპანელი მეკარე ფრანსისკო მოლინას ძალიან უხეში შეცდომაც დაემატა და სტეფან ივერსენმაც გაიტანა.

არცთუ დიდი ხნის წინ მუდმივმა მაჩანჩალა ნორვეგიამ ბოლო წლებში საოცარი პროგრესი განიცადა, ახლა კი აუტსაიდერებიდან ფავორიტებში გადაინაცვლა. ამ სკანდინავიურმა ნახევრად გაყინულმა ქვეყანამ ძალიან ბევრი იშრომა საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გასავითარებლად, კარგი მინდვრების მოსანყობად, მწვრთნელთა განათლების გასაღრმავებლად და სასურველი შედეგიც მიიღო.

რაც მთავარია, ნორვეგიაში ფეხბურთმა სულ უფრო მეტი ქომაგი შეიძინა, გულშემატკივარი კი არასდროს ცდება. ხომ ნახეთ, ამ მცირერიცხოვანი ქვეყნის გუნდს როტერდამში რამდენი თანამემამულე ქომაგობდა. ცუდი გუნდი გულშემატკივარს სამშობლოდან ასე შორს კი არა, საკუთარ სტადიონზეც ვერ მიიზიდავს.

ამ ჩემპიონატზე უდრამატულესმა იუგოსლავია — სლოვენიის მატჩმა კი ერთხელაც დაადასტურა, რომ წაგებასთან შეგუება, ყურების ჩამოყრა, ვიდრე მატჩი არ ჩამთავრებულა, არაფრით შეიძლება.

მოსალოდნელიც იყო, რომ ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნის, სლოვენიის ნაკრები ექსთანამოძმეს არაფერს დაუთმობდა, მით უმეტეს, სლოვენიას ჰყავს შესარჩევი ტურნირის ბომბარდირი (9 გოლით მეორე 11-გოლიანი რაულის მერე) ზლატკო ზაჰოვიჩი, რომელიც მთავარი ფიგურაა გუნდში. კარგად ორგანიზებული დაცვით და პრესინგით სლოვენიელებმა იმ არნახულ უპირატესობას მიაღწიეს, რის ხარჯზეც 3:0 დაწინაურდნენ.

სლოვენიელებმა სნორედ პრესინგით აიძულეს სინიშა მიხაილოვიჩი ბურთი დაეკარგა და ამას ზაჰოვიჩის მეორე გოლი მოჰყვა. მიხაილოვიჩი სხვა შემთხვევებშიც შეცდა, ჯერ მაშინ, როცა ყვითელი ბარათი მსაჯთან კამათისთვის დაიმსახურა, მოგვიანებით კი გააძევეს კიდეც და იუგოსლავიელთა მდგომარეობა უფრო დაამძიმა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, რაც ხდება, ცუდი არ არის.

გამოცდილმა ვუიადინ ბოშკოვმა რამდენიმე გადაადგილებით შეცვალა გუნდი და სრეჩკო კატანეცის ნაკრებს ანგარიში გაუთანაბრა. 10 ფეხბურთელით თამაში სულ სხვა, დიდ ხელოვნებას მოითხოვს და იუგოსლავიელებმა ეს შეძლეს.

პირველ რიგში სავო მილოშევიჩი გამოიკვეთა, ძალიან კარგად ათამაშდა ლუბინკო დრულოვიჩიც,

ვლადიმირ იუგოვიჩი კი, ჩემი აზრით, საუკეთესო იყო.

ცხადია, იუგოსლავიამ შემტევი, სწრაფი ფეხბურთის თამაში რისკის ხარჯზე შეძლო, მაგრამ განა ურისკოდ ფეხბურთში ვინმეს უხეირია?

ვაჟა ხაჩირაშვილი



მერაბ ხუციშვილი

ბადრი ჯიელაძის ფოტოები

გორში ახალი ხელისუფლებაა

„ДИЛА“ ის გუნდია, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე ორ (ზოგჯერ სამსაც) მწვრთნელს გამოიცვლის, თითქმის ნახევარი ჩემპიონატი მხართეძოზეა წამოწოლილი და საბოლოოდ მრავე ადგილზე გავა. უდარდელი და უზრუნველი გუნდია „დილა“.

ასე იყო ადრე, ასეა ახლაც. რა იქნება მომავალში, ვერ გეტყვით, მაგრამ მეთორმეტე ჩემპიონატის ახლებურმა სისტემამ გორელებიც შეაფუცხუნა. უზრუნველი ცხოვრების საშუალებას თორმეტგუნდიანი გათამაშებისას მხოლოდ პირველ ექვსეულში მოხვედრა იძლევა. ამას კი მოუმზადებელი და შეკრებგაუვლელი „დილა“ ვერაფრით მოახერხებს.

ჰოდა, დაფაცურდნენ გორელები. ჯერაც არავის ახსოვს, „დილას“ მომავალი ჩემპიონატისთვის სამზადისი ასე ნაადრევად დაეწყოს. კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებს, გუნდი კი 20 ივნისს შეიკრიბება.

გორელები მოსამზადებელ პერიოდს ახალი მწვრთნელებით დაუხვდებიან. შეგახსენებთ, რომ მეთერთმეტე ჩემპიონატი „დილამ“ მერაბ ხუციშვილის თაოსნობით დაიწყო, მერე ივანე თაყაძე პირველობდა, ბოლოს კი მერაბ კოჭლაშვილისა იყო სარბიელი.

კლუბის თავკაცებმა ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ასე გადწყვიტეს: „დილას“ მერაბ ხუციშვილი გაწვრთნის, მას ვაჟა ხაჩირაშვილი შეეშველება.

გორელთათვის ორივე მწვრთნელი ნაცნობია. თავის დროზე ორივეს ცალ-ცალკე გაუწვრთნია „დილა“ და ურიგო გუნდიც არც ერთს ჰყოლია. ვაჟა ხაჩირაშვილის მწვრთნელობისას გორელები თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ, სადაც დაძაბული, ორმატჩიანი დუელი „დინამოსთან“ წააგეს. ვნახოთ, ხუციშვილისა და ხაჩირაშვილის დუეტი რას მიაღწევს.

კლუბი დღე-დღეზე ელის ნახევარმცველ ქრისტეფორე შატაკიშვილის უცხოეთიდან მობრუნებას. ქიტესა გორიდან მეთერთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპის შემდეგ წავიდა. ჯერ ბელარუსში აპირებდა დაფუძნებას, მერე — პოლონეთში, მაგრამ არაფერი გამოვიდა და „დილას“ უბრუნდება.

გუნდი 20 ივნისიდან 2 ივლისამდე გორში მოემზადება, მერე ორი კვირით მთაში გაივლის შეკრებას და ისევ შშობლიურ ქალაქს მიაშურებს. ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ზღვისპირეთსაც ესტუმრება და მერე მეთორმეტე გათამაშება გორელთა ვაჟკაცობასაც გამოაჩენს.

მამუკა კვანტალიანი

დინამო შამქირში
ამხანაგური ამხანაგურად

კვირას თბილისის „დინამომ“ ინტერტოტოს გათამაშების პირველ მატჩში ბელგიის „სტანდარდს“ უნდა უმასპინძლოს. იქამდე, გუშინ, აზერბაიჯანში იქაურ „შამქირს“ გაეჯიბრა ამხანაგურად და ამხანაგურადვე დაშორდა — 1:1.

ჩვენებურები მეზობლებმა დაპატიჟეს. „შამქირი“, მოგეხსენებათ, ქვეყნის ჩემპიონი გახდა და კლუბის დაჯილდოება-ბანკეტი, ამხანაგური თამაშითურთ, სწორედ გუშინდლისთვის დაუნიშნავთ. მეტოქეობაც იქვე მოთამაშე, აზერბაიჯანის ბომბარდირ ბადრი კვარაცხელიას პირით სთხოვეს „დინამოს“. თბილისელები უთენია გაეშურნენ შამქირს და ღამითვე შინ დაბრუნდნენ.

ანგარიში ჩვენებმა გახსნეს, მასპინძლებმა კი მატჩის ბოლოს გაათანაბრეს.

კოტა ინასარიძე

ინტერტოტოს ბათიაშვილიც ელის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე ზურაბ ბათიაშვილი რომ XI ეროვნულ ჩემპიონატში „თბილისის“ ღირსებას იცავდა, იცით. ზურას ჩემპიონატის ბოლო მატჩებში არ უთამაშია, გუნდის კარში მისი სეზნია — ზურაბ მამალაძე იდგა. ბათიაშვილი სეზონის დასრულებასღა ელოდა, რომ „თბილისი“ დაეტოვებინა, ასეც მოხდა.

მოგეხსენებათ, „თბილისში“ ექსჩემპიონ „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელი განათხოვრებით თამაშობდა, მათ შორის ბათიაშვილიც. გუშინ მან სატელეფონო საუბრისას გვითხრა:

–„თბილისიდან“ საბოლოოდ წამოვედი, მაგრამ კონტრაქტი „დინამოსთან“ მაქვს, თუმცა ხელშეკრულებას 20 ივნისს გასდის ვადა.

–ჯერჯერობით სერიოზული არაფერი არ ჩანს. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ.

–ვოლგოგრადის „როტორის“ ვარიანტი ალბათ საბოლოოდ ჩაიშალა, თუმცა პირადი აგენტი მაიმედებს, სხვა რუსულ გუნდს გაგიხერხებო.

–აქ დარჩენა ნაღდად არ მსურს. უცხოეთში მინდა წასვლა, საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ რომელიმე სოლიდური გუნდი მიმიწვევს, რა თქმა უნდა, პირობებსაც გააჩნია.

–„დინამოსთან“ ხელშეკრულებას ვადა კი გასდის, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობას აუცილებლად შევხვდები, ალბათ, უფრო მაშინ, როცა ინტერტოტოს თამაშები ჩაივლის, სავარაუდოდ, ყველაფერი ამის მერე გაირკვევა.

გიორგი ვაშაკიძე

დინამო ხელებს და ვადას სწევს

ასეთია ქართული სერიალი — დაახლოებით ხუთი წელია, მიმდინარეობს და რომ გვეგონა, საბოლოოდ გუშინწინ, 13 ივნისს დამთავრდებოდა, ალბათ კვლავაც გაგრძელდება.

„დინამო“ — „მრეტების“ გახმაურებულ საქმეზე ვამბობთ და მათი ამდენნნიანი დავა თუ ჯერაც არ მოგბეზრებიათ, ერთხელაც წაიკითხეთ და იმ მიზეზსაც გაიგებთ, „დინამოს“ „მრეტებისთვის“ 320 ათასი დოლარის გადახდის ვადა სავარაუდოდ რატომაც გაუხანგრძლივდება.

ფიფამ 26 მაისს „დინამოს“ დირექტივა მისცა, „მრეტებისთვის“ 300 ათასი დოლარი და ამას დამატებული 20 ათასი ჯარიმა 13 ივნისამდე გადაეხადა.

ეს თანხა გუშინწინდლამდე საქართველოს ათგზის ჩემპიონებმა ვერ მოიძიეს და, რა თქმა უნდა, „მრეტებიც“ დაუკმაყოფილებელი დარჩა, თუმც ვიდრე ეს ფიფას ყურამდე მიაღწევდა, იქ 12 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ფაქსი მიიღეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თბილისის „დინამო“ ახლა ფინანსურ კრიზისშია, „მრეტების“ გარდა სხვაც ბევრი ვალი აქვს და კატასტროფის წინაშე დგას. იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ „დინამო“, ამ დავის დაწყებიდან პირველად აღიარებს „მრეტების“ ვალს და აუცილებლად გადაიხდის. მერე ფიფასადმი ფედერაციის თხოვნაა — „დინამოს“ 320 ათასის გასტუმრება გადაუვადონ.

ასეთი შინაარსის ფაქსი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 12 ივნისსვე, დილით, „დინამოდან“ მიღებული წერილის საფუძველზე გაგზავნა. მათ ვითარება საგანგებოდ ჩაუთვლიათ.

როგორ რეაგირებას მოახდენს ფიფა ფედერაციისა და „დინამოს“ თხოვნაზე, ეს ჯერ უცნობია, ალბათ, როგორც ზემოთ ვთქვით, სერიალი გაგრძელდება, თუმცა...

გუშინ რედაქციაში მივიღეთ წერილის ასლი, რომელსაც ხელს აწერს „მრეტების“ პარტნიორთა საბჭოს თავმჯდომარე ფრიდრიხ ბოიმელი. ასეთივე ასლი გაეგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ხოლო პირველ პირს კი ფიფა და პრეზიდენტი ბლატერი გაეცნობოდნენ. ბოიმელი წერს, რომ მიუხედავად ფიფას გენერალური მდივნისადმი მისი გაფრთხილებისა, ხუთი წლის წინ დაწყებული სპექტაკლი კვლავ გრძელდება და აღნიშნავს, „დინამო“ ფიფას გადაწყვეტილებებს არ ასრულებსო. ბოიმელი ბლატერისგან ამ საკითხთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვს... „წინაადმდეგ შემთხვევაში შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ და თქვენს ადმინისტრაციას“ — წერს „მრეტების“ გერმანელი თავმჯდომარე.

ახლა სიტყვა ფიფაზეა. გაგრძელება კიდევ იქნება.

და ერთიც. ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ თავმჯდომარის პირველი მოადგილის რობინზონ თუშურაშვილის დამოწმებული ფაქსი მიიღო, სადაც იგი წერს, რომ თანახმაა, „დინამოს“ ფეხბურთელებმა — დიდავამ და წიტაიშვილმა კარიერა თელ ავივის „მაკაბიში“ გაგრძელონ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ებრაელებისგან სანაცვლოდ გადმორიცხული 230 ათასი დოლარიდან 100 ათასი ფედერაციის ანგარიშზე გადაირიცხება, დანარჩენი თანხა კი „TBC ბანკის“ ანგარიშზე, რითაც მის ვალს გაისტუმრებენ. თუშურაშვილი თურმე საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მხრიდან ერთადერთი ლეგიტიმური სუბიექტია. ფედერაცია არც მერაბ რატიანს ცნობს, არც ვაჟა ჟვანიას, ამ 100 ათასს კი ფედერაცია ისევ და ისევ „დინამოზე“ დახარჯავს. გუნდმა ინტერტოტოზე უნდა ითამაშოს, ფეხბურთელებს ხელფასები უნდა დაურიგდეთ... და თუ რამე დარჩა, ის ფულიც, როგორც ფედერაციაში ამბობენ, ვალებს მოხმარდება, მათ შორის „მრეტებისასაც“.

დღეს კი სახელმწიფო კანცელარიაში იმ კომისიის მორიგი სხდომაა, რომელიც „დინამოს“ პრობლემების მოსაგვარებლად შექმნეს. გადაწყვეტენ კი რამეს?

კოტა ინასარიძე

პირველი მერანი

ცოტა ხნის წინ 1984 წელს დაბადებულთა შორის მიხეილ მესხის სახელობის თასის გათამაშება დასრულდა. ფინალური მატჩი მცხეთაში, „არმაზზე“ გაიმართა. ერთმანეთს ორი თბილისური გუნდი — „მერანი“ და ახალდაარსებული „ბავშვთა საფეხბურთო აკადემია“ დაუპირისპირდა. დაძაბული და საინტერესო შეხვედრა „მერანმა“ 3:1 მოიგო და თასის ღირსეული მფლობელიც გახდა. გამარჯვებულთაგან ბურთები კაჭარავამ, დარსანიამ და გრიგორევმა გაიტანეს, „აკადემიიდან“ კი პრესტიჟის გოლი შალამბერიძემ შეაგდო.

ტურნირი შემოდგომაზე დაიწყო. თავიდან გუნდები ტერიტორიული პრინციპით დაიყვნენ და რეგიონებში უძლიერესები გამოავლინეს, რომლებიც ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. თბილისის ზონაში სამი ქვეჯგუფი შეიქმნა, რომელთა პირველადგილსნებიც ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდნენ, სამ მეორეადგილოსანს („მერანი“, „აკადემია 2“ და 35-ე საფეხბურთო სკოლა) კი პლეი ოფში მეოთხე საგზურისთვის ბრძოლა მოუხდა. „მერანმა“ ორივე მეტოქეს 1:0 სძლია და სხვა 15 გუნდთან ერთად ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. იქ კი ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა. მერვედფინალში ქუთაისის „ტორპედოს“ ავჭალელებმა ორი მატჩის ჯამში 5:1 მოუგეს, რუსთავის „მამული“ სტუმრად 4:2 დაამარცხეს, თბილისში კი რუსთაველები არ ჩამოვიდნენ. ნახევარფინალი „ქობულეთთან“ ნეიტრალურ მინდორზე, ზესტაფონში შედგა. მერანელებმა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე — 5:1. ფინალში კი თენგიზ სულაქველიძის „აკადემიას“, როგორც აღვნიშნეთ, 3:1 ავჯობეს.

„გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს. მათი დიდი იმედი მაქვს. ერთ-ორ წელიწადში ესენი თავიანთ სიტყვას იტყვიან. ძალიან პერსპექტიული და ნიჭიერი ბავშვები არიან. ამის რომ არ მჯეროდეს, გუნდში არც გავჩერდებოდი“ — განუცხადა „სარბიელს“ „მერანის“ მწვრთნელმა ბონდო კაკუბავამ, თან დასძინა, დიდ მადლობას ვუხდი „მერანის“ ახალ თავკაცობას, ახალ პრეზიდენტ დავით ფურცელაძეს, რომელიც მარტო მთავარ გუნდს კი არ პატრონობს, მომავალ თაობასაც გვერდით უდგას, ჩვენი გამარჯვებაც მნიშვნელოვანწილად მისი და კლუბის სხვა ხელმძღვანელების დამსახურებაა.

მისასალმებელია, რომ ფურცელაძე და „მერანის“ სხვა მესვეურები ბავშვთა ფეხბურთსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. „ჩვენი გუნდი ერთადერთია, რომელიც ფეხბურთელებს ფულს არ ახდევინებს. ბურთები, ბუცები, სათამაშო ფორმა, ყველაფერს ჩვენს თავზე ვიღებთ“ — ესეც კაკუბავას სიტყვებია.

უმცროს მერანელებს უფროსობა უცხოურ შეკრება-ტურნირებსაც ჰპირდება. მიხეილ მესხის თასის მფლობელი გუნდი, რომლის 7 ფეხბურთელი სულაქველიძემ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებშიც გამოიძახა, აგვისტოს დასაწყისიდან მოსკოვში აპირებს გამგზავრებას. იქ მერანელები ორ თვეს გაჩერდებიან და ამ ხნის განმავლობაში ოთხ საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშებენ. დამეთანხმებით, ასეთი პირობებით ჩვენში ბავშვთა კი არა, დიდი კლუბებიც ვერ დაიტრაბახებენ.

კლუბის ხელმძღვანელობის ასეთ გარჯას პატარა მერანელებიც სათანადოდ აფასებენ. ახლახან სპორტკლუბ „ივერიას“ მიერ მოწყობილი 12-გუნდიანი ტურნირის ფინალში „მერანის“ მეორე ბავშვთა გუნდმა „ვაკე 91“-ს მოუგო და „ივერიის“ თასსაც დაეუფლა.

ვანო ოქროპირიძე

მიხეილ მესხის თასის მფლობელი თბილისი „მერანი“

ბურაბ ფოლადაშვილის ფოტო

ნახვამდის, მომავალ დარღვევამდე!

ბადრი ჯელილაძის ფოტო

სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის წევრები ომარ გოგიაშვილის კაბინეტში ახალ სეზონამდე აღარ შეიკრიბებიან

ღმერთმა ნუ ქნას, ბავშვთა სხვადასხვა ტურნირების დასკვნით მატჩებში რაიმე ექსცესი მოხდეს. ეს თავისთავად უსიამოვნო ფაქტია, ასეთ დროს სხვებიც იჩაგრებიან. სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის წევრებს ვგულისხმობ. მათ მომქანცველი სეზონი გალიეს და ალალად დაიმსახურეს დასვენება.

გუშინ ერთხელაც შეიკრიბნენ ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში დისციპლინარები და გასული კვირის განმავლობაში მომხდარ დარღვევებზე იმსჯელეს. გოგი დემეტრაძე აკლდათ, ენერგიული და ექსტრავაგანტული კოლეგა. მისი არყოფნის მიზეზი რომ ვიკითხე, ბატონი გოგი ტელევიზიით ნაპოლეონიზმის აგიტაციას ეწევა და საპატიო მიზეზით არ იმყოფებაო, მითხრეს.

თქმა არ უნდა, ქართული ფეხბურთის უბედურება ბავშვთა ფეხბურთიდან მოდის. მოზარდს თავიდანვე უმახინჯდება მენტალიტეტი. რას უყურებს ის? ჩხუბს, აყალმაყალს, მწვრთნელის მაქინაციებს. და ძალაუნებურად, ითავისებს იმ ბინძურ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც თურმე შესაძლებელი ყოფილა მატჩის სასურველი შედეგით დასრულება. საკითხავია, რა უნდა ისწავლონ მწვრთნელთაგან ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა და ონელმა ფეხბურთელებმა. გახსოვთ, ალბათ, გუნდის ნაცვლად ონში ქუთაისელი მწვრთნელები რომ ჩავიდნენ და მასპინძლებს სუფრაზე სახელდახელოდ გაურიგდნენ. სბოლოო ვერდიქტი სტკ-მ ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ გამოიტანა. რა თქმა უნდა, ონიდან და ქუთაისიდან არავინ ჩამოსულა თბილისში. სხდომის პასუხისმგებელმა მდივანმა ზვიად დარასელმა დისციპლინარებს გრიგოლ მიქაუტაძის (ქუთაისის საფეხბურთო სკოლის დირექტორი) მოხსენებითი ბარათი გააცნო. ახალს არაფერს გვატყობინებს მიქაუტაძე, წერს იმას, რაც გასულ სხდომაზეც თქვა: „იმ პერიოდში ქალაქიდან გასული ვიყავი, მწვრთნელებმა კი ტრანსპორტი ვერ იშოვეს, მანქანით ეახლნენ ონელებს და ეს სამარცხვინო ამბავიც მოხდა. ერთ-ერთი მათგანი, გამბონიშვილი სამსახურიდან გავათავისუფლე, მეორე კი, ახალბედა მწვრთნელი დავით რუხაძე შემეცოდა, რადგან მისი ბრალი არაფერი ყოფილა". პასუხისმგებლობას თავიდან არ ვიცილებ, სასჯელისთვის მზად ვარო, მორჩილად თავს ხრის მიქაუტაძე. საკვირველია, მაგრამ მას ერთობ უცნაური წინადადებით მიუმართავს სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯუმბერ თანანაშვილისთვის, თქვენ დამსაჯეთ და სხვა გუნდებს შორის მომხდარ მსგავს ფაქტებს რამდენსაც გინდათ, იმდენს გეტყვითო. შეგახსენებთ, რომ ონში ქეიფისას შეივსო მატჩის ოქმი, რომლის თანახმადაც ვითომდა ქუთაისელებმა გაიმარჯვეს.

რა უნდა ასეთ ხალხს ფეხბურთში? ამას კითხულობდნენ სტკ-ელებიც. მიქაუტაძე რომ უცოდველი არ არის, ცხადია. შეზარხოშებულმა სტუმარ-მასპინძელმა ის ოქმი 1999 წლის ნოემბერში გააფორმა. იმ დღიდან ამ ამბის გამოაშკარავებამდე კი ექვს თვეზე მეტი გავიდა. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში მიქაუტაძემ არ იცოდა მწვრთნელთა მაქინაციების შესახებ? იცოდა, როგორ არა, მაგრამ პირში წყალი ჩაიგუბა და არც სფფ ჩაყენა საქმის კურსში. დღეს კი იხვეწება, დამსაჯეთო, რადგან მშვენივრად მოეხსენება, რომ სტკ ამას ვერ გააკეთებს. მისი სკოლა იურიდიული პირის (მიქაუტაძის) საკუთრებაა, რომლის უფლებამოსილების შეჩერებაც დისციპლინარებს არ ძალუძთ. აკი მხოლოდ სასტიკი საყვედური აკმარა სტკ-მ მიქაუტაძეს, თუმც დაუსჯელი მაინც არ დარჩენილან ქუთაისელები. რამაზ შენგელიას სახელობის (ამ პატივცემული და წარსულში სახელოვანი ფეხბურთელის სახელს მაინც რას ერჩოდნენ) სკოლის გუნდები 2000-2001 წლის ჭაბუკთა ტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. უფეხბურთოდ დარჩა ონიც. იქაური ერთადერთი საფეხბურთო სკოლა თავის აღსაზრდელებს მომავალ სეზონში ვერც ერთ ტურნირზე ვერ ათამაშებს. სტკ-მ უდანაშაულო ნორჩ ფეხბურთელთა მდგომარეობაც გაითვალისწინა და მათ სხვადასხვა გუნდებში გადასვლის საშუალება მისცა. ამ მხრივ ქუთაისელებს არა უშავთ. სამაისო ქალაქში ათამდე საფეხბურთო სკოლა მაინცაა და ნორჩები როგორღაც გზას მონახავენ, მაგრამ რა ქნან ონელებმა, სად წავიდნენ? აი, რა მოჰყვა მავანთა უპასუხისმგებლობას.

სტკ-მ 26 მაისს მომხდარი ფაქტიც განიხილა. „მეტრეველის თასის" გათამაშებაში თბილისში „ავაზა" და გორის „ორბი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბუნებრივია, ფეხბურთელებს მშობლებიც ახლდნენ, რომლებიც მატჩის მსვლელობისას შეკამათდნენ. თვითმხილველთა თქმით, „ორბის" მოთამაშეთა გულშემატკივრები შექეიფიანებულნი იყვნენ და უწმაწურად აგინებდნენ მსაჯს.

მაყურებელთა შორის მანდილოსნებიც ყოფილან და „ავაზას" ქომაგს თავშეკავებისკენ მოუწოდებია სტუმართათვის. კამათიც ამან გამოიწვია და თბილისელი რომ ვეღარას გახდა, ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. გორელები დაცხრნენ, მაგრამ თამაში, ცხადია, შეჩერდა და ეს ინციდენტიც სტკ-ს გასარჩევი შეიქნა. დისციპლინარებსაც რა ექნათ, იარაღის ტარებას ვერავის აუკრძალავენ და მკაცრი გაფრთხილება აკმარეს ორივე გუნდის მწვრთნელებს.

სხდომაც ამით დასრულდა. აგვისტომდე, ალბათ, ვერც შევიკრიბებით ერთად, მომავალ დარღვევამდეო — დამშვიდობნენ დისციპლინარები ერთმანეთს.

კაატა კვანტალიანი

რიყეზე ბურთი გაგორდა

საქვეყნოდ ცნობილი ფირმა „პუმას" ეგიდით და ფიფას ხელშეწყობით ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი ქუჩის ფეხბურთში.

ორი წლის წინ 80 ქვეყანას საქართველოც შეუერთდა და „პუმის" ქუჩის ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციაში გაწევრიანდა, მაგრამ მომდევნო წელს ჩვენებურებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორგანიზებას ვერ მოაბეს თავი და ასოციაციიდან გაირიცხნენ. წლეულს კი საქართველოში „პუმის" წარმომადგენლობის და საფეხბურთო სკოლა „დიმას" თაოსნობით შესარჩევი ეტაპი ჩატარდა, რაც საქართველოს ასოციაციაში აღდგენისა და მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საშუალებას მისცემს. საფეხბურთო სკოლა „დიმას" ხელმძღვანელმა კოტე ჯალიაშვილმა და საპატიო პრეზიდენტმა დიმიტრი კოტეტიშვილმა ძალიან მოინდომეს და რიყეზე ორღდიანი ლამაზი საფეხბურთო სანახაობა გამართეს.

ტურნირის ხელმძღვანელებს გარკვეული დახმარება გოგი თოფაძემაც გაუწია.

უმცროს ასაკში (14 წლამდე) 35-ე საფეხბურთო სკოლამ იმარჯვა. 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელებში საუკეთესო უბნის გუნდი „იუვენტუსი" გახდა, უფროს ასაკში კი კოტე ჯალიაშვილის აღზრდილები ს.ს „მაისის" ყოფილი წევრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პროფესიონალები („მაისი 1") ყოფილ ფეხბურთელებთან („მაისი 2") დამარცხდნენ. ტურნირის ბოლოს ფეხბურთელები სამახსოვრო პრიზებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

კაატა კვანტალიანი

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	იმედაძე, ბობოხიძე (დინამო)	ვ. გიგიაძე (იბერია)	9 ივნისიდან შვებულებაშია 20-25 ივნისს 10 დღით თბილისში შეიკრიბება
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*		სულთანიშვილი (დილა), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	19 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან)	იმედაძე, ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1 18 ივნისს ინტერტოტოს თასზე „სტანდარდს" მასპინძლობს, 25 ივნისს კი სტუმრობს
	ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა)		7 ივნისიდან შვებულებაშია
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ღაღანიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა)		20 ივნისს ფოთში შეიკრიბება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ვ. მაისურაძე, ბ. შენგელია (?)		26 ივნისს ბოლნისში შეიკრიბება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე (ტორპედო), ჟვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოჭლაშვილი(მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი(მწვრთნელი)	20 ივნისს გორში შეიკრიბება
	მერანი *სერგო გაბელაია*			1 ივნისიდან შვებულებაშია 25 ივნისს ავჭალაში შეიკრიბება
	გორდა *იასონ ალადაშვილი*			1 ივნისიდან შვებულებაშია
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*		მ. ჯიშკარიანი (სოკოლი, რუსეთი), ჟვანია, ნაროუშვილი (იბერია)	
	თსუ *თენგიზ კაკაია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტებიდაუმთავრდათ)		12 ივნისიდან შვებულებაშია. 26 ან 27 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის

ეს დაუსრულებელი ედმუნდიანა

დიდი ფეხბურთელების ხსენებისას უმალ მათი შექმნილი ჯადო-მომენტები გვიდგება თვალწინ.

ედმუნდოც ასეთი დიდი ფეხბურთელი იყო და ეგებ დღემდეც რჩება, თუმცა... ეს უფრო გაუთავებელი ჩხუბით, ცხოველთათვის ალკოჰოლის დაძალებით, რეპორტიორთა თავებზე გადამსხვრეული კამერებით, წითელი ბარათებით და ბევრი სხვა ამგვარი „საგმირო“ საქმით გვახსოვს.

ამ 29 წლის წინ რიოს მახლობლად, პატარა ქალაქ სან გონსალოში დაბადებული ედმუნდო ბავშვობაში ეგებ თაქარიანი სულაც არ იყო. ავი და ქედმაღალი იგი უფრო „ვარსკვლავურმა სენმა“ თუ გახადა. საფეხბურთო კარიერა კი შთამბეჭდავი გახლდათ. „ვასკუს“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ამ დიდი კლუბის წევრი გახდა და პირველივე თამაშის მერე შეუცვლელი შეიქნა. ერთი წლის მერე უკვე ბრაზილიის ნაკრებშია და მეორე შეხვედრაში გოლიც გააქვს. მერე „პალმეირასი“, სან პაულუს შტატისა და ბრაზილიის ჩემპიონობა. ეს 1993 წელს მოხდა. სწორედ მაშინ გადიდგულდა ედმუნდო. ხუთი წითელი ბარათი ერთ სეზონში და 40-დღიანი დისკვალიფიკაცია. მიზეზი? მატჩის დროს მსაჯს სახეში მუშტი უთავაზა. დამეთანხმებით, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ლმობიერება გამოიჩინა.

მომდევნო სეზონში ედმუნდო უკვე გუნდის ყოჩია. „სან პაულუ“ — „პალმეირასის“ დერბის დროს ის ჩხუბს იწყებს. მას აჰყვა ყველა — ფეხბურთელები, მსაჯები, მწვრთნელები. ვნებათაღელვა პოლიციამ ჩააცხრო. სასჯელი? ნურას უკაცრავად, ბრაზილიაში დისციპლინა მოიკოჭლებს.

აქ მხოლოდ რამდენიმე ამბავი გავიხსენე, რომლებიც ედმუნდოს ფეხბურთელობის პირველ წლებში შეემთხვა. აღარ გავაგრძელებთ — ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა საგაზეთო გვერდს ვერ დიტევს. მხოლოდ ერთი დაკუმატოთ. „მხეცმა“ (ედმუნდოს მეტსახელია) 1995 წლის დეკემბერში მანქანით თავბრუდამხვევი ქროლისას სამი ადამიანი შეიწირა. სასამართლო პროცესი ბრაზილიური ტელესერიალებივით გაიჭიმა და მხოლოდ შარშან ოქტომბერში დასრულდა. გადაწყვეტილება — ღამის საკანში გატარება, დღისით კი თავისუფლება — ედმუნდოს ადვოკატებმა გაასაჩივრეს და საქმეც მოიგეს. ედმუნდო თავისუფალი კაცია და მაშასადამე, შეუძლია ძველ ხელობას — გაუთავებელ ჩხუბს, ცხოველთათვის ალკოჰოლის დაძალებას, რეპორტიორთა თავებზე კამერების მტვრევას, წითელი ბარათების მიღებას და ბევრ სხვა „საგმირო“ საქმეს მიუბრუნდეს. აგერ, ვანდერლეი ლუქსემბურგოს მიერ კარგა ხნის მოკვეთის შემდეგ ნაკრებში მიწვეულმა ედმუნდომ პირველივე თამაშში მორიგი წითელი ბარათი მიიღო და ეროვნულ გუნდს, ალბათ, სამუდამოდ დაემშვიდობა. რაც შეეხება იმ ხრიკებს, რომლებსაც იგი და მეორე ჭირვეული — რომარიო უწყობენ ერთმანეთს, ამ ამბებს ბრაზილიელი ბაბუები თავიანთ შვილიშვილებს ზღაპრად უყვებიან.

ედმუნდო, ედმუნდო...

დაბოლოს. ედმუნდო „ვასკუ და გამადან“ (მისი ჯერჯერობით ბოლო კლუბიდან) გაადგეს. სწორედ მას ბრალდება რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩის წაგება „ფლამენგოსთან“. „ვასკუს“ ვიცე-პრეზიდენტ ენრიკო მირანდას თქმით, თამაშამდე ედმუნდოს თანაგუნდელებში შუღლი ჩამოუგდია და წაგების მიზეზიც ეს გამხდარა.

ედმუნდო „ვასკუში“ აღარასდროს ითამაშებს, ეს გადაწყვეტილია. კლუბი ახლა ცდილობს, მოძულებული ვარსკვლავი სარფიანად გაყიდოს. ნეტავ, იმას, ვინც ედმუნდოს იყიდის და თავს ლომის ხახაში შეყოფს.

გიორგი დარჯანია

ბაჯოს ლონდონში იწვევენ

იტალიური მასმედიის ცნობით, მილანის „ინტერის“ თავდამსხმელის, რობერტო ბაჯოს გადასაბირებლად ორი ლონდონური კლუბი — „არსენალი“ და „ჩელსი“ იბრძვის. ფეხბურთელის აგენტი ინგლისური გუნდების წარმომადგენლებს შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში შეხვდა და შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა.

33 წლის ბაჯო იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დინო ძოფმა ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ არ მიიწვია. ამბობენ, რობერტო ამჟამად არგენტინაში ისვენებსო. მან მილანის „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, მარჩელო ლიპი ბოლომდე არ ენდობოდა, ამიტომაც მილანს, ალბათ, დატოვებს.

ლონდონის „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა ბაჯოს შეძენა თურმე ადრეც სცადა, მაგრამ რატომღაც ვერ მოახერხა. მაშინ ფეხბურთელმა „ბოლონიას“ მიაშურა, ხოლო იქიდან მილანის „ინტერში“ გადავიდა. ფრანგმა თავკაცმა ბაჯო კვლავ გაიხსენა და ვინძლო ახლა მაინც დაიგულოს თავისთან, მით უფრო, რომ მალე იტალიელს მილანურ გუნდთან კონტრაქტი უსრულდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს.

ბაჯოს თანამემამულე ჯანლუკა ვიალიც აკვირდება. ისინი ტურინის „იუვენტუსში“ ერთად თამაშობდნენ, შემდეგ ვიალიმ მწვრთნელობა არჩია, ბაჯო კი ჯერჯერობით კვლავ საფეხბურთო კარიერას აგრძელებს.

„ჩელსიდან“, შესაძლოა ჯანფრანკო ძოლა წავიდეს, რომელსაც „ნაპოლიში“ ეპატიჟებიან.

მის შემცვლელად ვიალის სწორედ ბაჯო მიაჩნია.

რას ფიქრობს თავად ბაჯო, ჯერჯერობით უცნობია. როგორც მოგახსენეთ, იგი არგენტინაშია, ლონდონელები კი, ალბათ, მის დაბრუნებას ელიან.

ინგლისში თურქულს რა უნდა?!

„ეგლა გვაკლდა, უსაშველოდ გაოგნებულები ვართ!“ — თქვა გუშინწინ დიდი ბრიტანეთის ქსოვილთა, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის კავშირის გენერალურმა მდივანმა პოლ გეიტსმა, ვისი ორგანიზაციაც 30 000-ზე მეტ საფეიქრო მრეწველობის მუშაკს ითვლის მთელ გაერთიანებულ სამეფოში. ღირსეული ადამიანის სიტყვები მიმართულია აშშ-ის კუთვნილი სუპერმარკეტების ქსელის, „აზდას“ მიერ თურქეთში დამზადებული ინგლისის ნაკრების მაისურების გაყიდვის წინააღმდეგ. სტამბოლში „ლიდსის“ ორი ფანის მკვლელობის შემდეგ ამგვარი რამ მართლაც არ დარჩებოდა უყურადღებოდ, თანაც, თურქებს ბრიტანული სიმბოლიკა არასწორად გამოუსახავთ. „აზდას“ წარმომადგენელმა ნიკ აგარეალმა თავი იმით იმართლა, ეს მაისურები ჩინებულად იყიდება და კლიენტებისგან ერთი საყვედურიც არ გვსმენიაო. ამასთან, ეს ნაწარმი ნახევარი წლის წინ შეუკვეთია, როცა ტრაგედია ჯერ არ მომხდარიყო, თორემ ხომ იზარალებდა. ორივე მხარე თავისებურად მართალი ჩანს.

სიახლე!

პირველად საქართველოში!

RADIO VRIKA 100.3 FM

რადიო „ვრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“

ფეხბურთის რუკა

იტალიის ვიცე-ჩემპიონ „იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ დაადასტურა, რომ ფრანგი ფორვარდების, ნიკოლა ანელკასა და ტიერრი ანრის შეძენას ჯერჯერობით არ აპირებს. „მომავალი სეზონი რთული იქნება, თუმცა ანელკა და ანრი არ გვჭირდება. ანრი „იუვენტუსში“ ადრეც თამაშობდა, თუმცა შეტევის ხაზში თავი ვერ გამოიჩინა და გარკვეული პრობლემებიც კი შეექმნა. ნიკოლა ანელკა მართლაც ძლიერია, თუმცა ანელკას ამპლუის ფეხბურთელები უკვე გვყავს. ამიტომ მისი ყოფნა არაფერს გვარგებს“. ბრიტანული პრესა იუწყებოდა, რომ კიდევ ერთი ფრანგი, პატრიკ ვიეირა, შესაძლოა „არსენალიდან“ „იუვენტუსში“ გადავიდეს, თუმც ანჩელოტის ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

ფრანგული „ოლიმპიკის“ მეკარე სტეფან პორატო „მონაკოში“ გადავიდა, ქვეყნის ჩემპიონებმა იგი 5 მილიონ დოლარად იყიდეს. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პორატო „ოლიმპიკში“ 1998 წელს ჩაირიცხა, რამდენჯერმე საფრანგეთის ნაკრებშიც მიიწვიეს. ეროვნულ გუნდში მან ერთი შეხვედრა ჩაატარა, ახლა კი, ევრო 2000-ზე ბელგია-ჰოლანდიაში არ წაიყვანეს. პორატო „მონაკოში“ ფაბიენ ბარტეზს შეცვლის, რომელმაც ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიაშურა.

თურქმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა, რომელიც სულ ახლახან „ფიორენტინას“ თავკაცად დაინიშნა, განაცხადა, რომ „ბარის“ შვედი ნახევარმცველის, დანიელ ანდერსონის შეძენა სურს. „ანდერსონი კარგი ფეხბურთელია, მე მას ევროპის ჩემპიონატზეც დავაკვირდები და ეგებ შევიძინო კიდეც“ — თქვა თერიმმა. თავად ანდერსონი ამბობს: „თერიმმა დამირეკა და მითხრა, რომ მომავალ შეხვედრებში თვალ-ყურს მადევნებს, თუმცა ამჟამად მხოლოდ ევრო 2000-ზე ვფიქრობ, მერე კი ვნახოთ“...

პორტუგალიური „პორტუ“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ „ოლიმპიაკოსის“ სლოვენიელი ნახევარმცველის, ზლატკო ზახოვიჩის ყიდვას აპირებს. ბრიტანული პრესის ადრე გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ფეხბურთელს „ტოტენჰემშიც“ იწვევდნენ, ლონდონური კლუბის დირექტორმა დევიდ პლიტმა უარყო. ზახოვიჩი „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობასთან ვერ შეთანხმდა და უკვე კარგა ხანია, უსაქმოდაა. იგი შესაძლოა „პორტუში“ დაბრუნდეს, სადაც ადრე თამაშობდა.

არგენტინელი ფორვარდი კარლოს დანიელ კორდონი, შესაძლოა „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადავიდეს. „რასინგ კლუბის“ 26 წლის მოთამაშით ბობი რობსონი დაინტერესდა და „რასინგს“ მის სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა შესთავაზა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ კორდონს ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ფეხბურთელმა თავის ყოფილ კლუბს, „ველეს სარსფილდს“ გოლი გაუტანა და სიხარული უხამსი ჟესტით გამოხატა.

დანიელი მარტინ ლაურსენი, შესაძლოა „ვერონადან“ „რომაში“ გადავიდეს. თავად ფეხბურთელი ამბობს: „თუ „რომაში“ გადავბარგდები, ძირითად შემადგენლობაში თამაში მსურს. ჩემს განათხოვრებაზე კლუბები ჯერჯერობით ვერ შეთანხმდენ, ტრანსფერი კი დროებით შეფერხდა. „ვერონაში“ თამაში მსიამოვნებს, თუმცა დედაქალაქში გადავლაზე უარს არ ვიტყოდი. ახლა ევროპის ჩემპიონატზე ვასპარეზობ და მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. ტრავმა ოდნავ მაწუხებდა, მაგრამ გამოვჯანმრთელდი და მომავალ შეხვედრას ალბათ აღარ გამოვტოვებ“.

გერმანელი იორგ ჰაინრიხი, შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და დორტმუნდის „ბორუსიაში“ ჩაირიცხოს. „ფიორენტინასთან“ თითქმის შეთანხმდით, ჰაინრიხს ალბათ მალე შევიძენთ“ — განაცხადა დორტმუნდული კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. გერმანული პრესის ცნობით, „ბორუსია“ „ფიორენტინას“ ჰაინრიხის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას გადაუხდის. გერმანელი ფლორენციულ კლუბს 1998 წელს სწორედ დორტმუნდული კლუბიდან შეუერთდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა. „ბორუსიას“ „რუსენბორგის“ ფორვარდი იან დარეკ სორენსენიც შეუთვალიერებია. „ალბათ ნორვეგიელ თავდამსხმელს შევიძენთ, უკიდურეს შემთხვევაში, მას 2001 წლის იანვარში გადმოვიბირებთ“ — განაცხადა დორტმუნდული კლუბის წარმომადგენელმა.

ესპანური პრესის ცნობით, ფრანგი მცველი კრისტიან კარამბუ მადრიდის „რეალში“ ალბათ აღარ დარჩება და „მიდლსბროს“ მიაშურებს. კარამბუს აგენტი მილან კალასანი იუწყება, რომ მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და ფეხბურთელს მალე ალბათ „მიდლსბრო“ შეიძენს. ინგლისელები ესპანელებს დაახლოებით 2,3 მილიონ დოლარს გადაუხდიან. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „ნანტისა“ და „საპდორიას“ ყოფილ ფეხბურთელს ლონდონის „არსენალმაც“ დაადგა თვალი.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს“ „ფიორენტინას“ პორტუგალიელი ნახევარმცველის მანუელ რუი კოშტას შეძენა სურს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სატრანსფერო თანხა დაახლოებით 15 მილიონი დოლარია. რუი კოშტამ ადრე განაცხადა, რომ „ფიორენტინადან“ გაბრიელ ბატისტუტას წასვლის შემდეგ მას ფლორენციულ კლუბში თამაში აღარ სურს. მიუნხენის „ბაიერნის“ გარდა პორტუგალიელს „ლაციო“, „ინტერი“, „მილანი“ და მადრიდის „რეალიც“ ეპატიჟება.

სჯობს გვიან...

ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა ჰოლანდიის ნაკრებზე საუბრისას განაცხადა, მომეჩვენა, რომ ჩეხებთან თამაშისას ჩვენი ბიჭები გადაღლილები იყვნენო. ჰოლანდიურმა პრესამ ოლსენის სიტყვები აიტაცა და თავისიც დაუმატა — ვაითუ ჩვენები ჩემპიონები ვერ გახდნენო და ფრანკ რაიკარდის პასუხს დაელოდა. ნაკრების მწვრთნელმაც არ დააყოვნა, გუშინ საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტები შემოიკრიბა და გაესაუბრა:

...ოლსენს ვეთანხმები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო, ზოგ ფეხბურთელს დაღლა მაინც ეტყობა. გასაკვირი არცაა, მათ ხომ იქამდე მომქანცველი სეზონი ჰქონდათ.

...უკლებლივ ყველა მოთამაშე შევამოწმეთ. ვინც დიდ დატვირთვას ვერ უძლებს, სპეციალური პროგრამები შევუდგინეთ და ვფიქრობ, დროის უმცირეს მონაკვეთში თითოეული მათგანი ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს.

...შედეგებზე დღესაც შეგვიძლია ვისაუბროთ. დილის ვარჯიშზე ფეხბურთელების გამძლეობა კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ და პროგრესი აშკარაა. გულისცემა ყველას ნორმალური აქვს.

...ფიზიკური მომზადების გარდა ტაქტიკის დახვეწაზეც ვმუშაობთ. მაგალითად, მსურს, რომ პატრიკ კლუივერტმა შეტევები უფრო მოედნის სიღრმიდან წამოიწყოს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ხომ არ ჯობდა, ამაზე ფრანკ რაიკარდს ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე თუნდაც ერთი კვირით ადრე ეფიქრა?

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკოს ბიულეტენები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შემმების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)

ევროპის ჩემპიონატი

		15 ივნისი			
23.45	031	შვედეთი-თურქეთი	1,9	3,0	3,8
		16 ივნისი			
21.00	032	ჩეხეთი-საფრანგეთი	3,8	2,8	2,0
23.45	033	დანია-ჰოლანდია	7,0	3,8	1,4
		17 ივნისი			
21.00	034	რუმინეთი-პორტუგალია	3,1	2,8	2,3
23.45	035	ინგლისი-გერმანია	2,2	2,9	3,0
		18 ივნისი			
21.00	036	სლოვენია-ესპანეთი	7,5	4,0	1,35
23.45	037	ნორვეგია-იუგოსლავია	2,8	2,9	2,4

I ტაიმი/ძირითადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		15 ივნისი									
23.45	060	შვედეთი-თურქეთი	3,0	8,0	20,0	4,0	4,5	8,0	15,0	8,0	5,0
		16 ივნისი									
21.00	061	ჩეხეთი-საფრანგეთი	5,0	7,0	15,0	7,0	4,0	4,5	20,0	7,0	3,5
23.45	062	დანია-ჰოლანდია	12,0	8,0	15,0	13,0	5,5	3,0	30,0	9,0	1,8
		17 ივნისი									
21.00	063	რუმინეთი-პორტუგალია	4,5	6,0	15,0	6,5	4,0	5,5	18,0	6,0	3,8
23.45	064	ინგლისი-გერმანია	3,8	6,5	18,0	5,0	4,4	5,5	18,0	6,5	4,5
		18 ივნისი									
21.00	065	სლოვენია-ესპანეთი	12,0	12,0	15,0	15,0	6,0	2,5	40,0	12,0	1,8
23.45	066	ნორვეგია-იუგოსლავია	4,0	7,5	15,0	5,0	4,5	4,5	18,0	7,5	3,8

(დასაშვებია №№059-066 გადამრავლება)

რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში

			0	1	2	3	4	5	6	7	9
		17 ივნისი									
21.00	601	ინგლისი	8,0	6,0	4,0	3,8	2,0	—	3,3	—	—
21.00	602	გერმანია	—	7,0	5,0	4,5	3,0	3,0	—	4,5	—
21.00	603	პორტუგალია	—	—	—	6,0	3,4	4,0	3,4	3,5	5,0
21.00	604	რუმინეთი	—	3,0	2,0	6,0	3,8	4,0	—	7,5	—
		14 ივნისი									
23.45	607	შვედეთი	4,5	3,8	3,4	3,0	3,2	—	6,0	—	—
23.45	608	თურქეთი	3,2	2,8	3,4	3,4	4,0	—	7,5	—	—
		18 ივნისი									
21.00	609	ესპანეთი	10,0	6,0	6,0	3,8	2,5	—	2,5	—	—
21.00	610	იუგოსლავია	—	4,7	2,8	4,0	2,8	2,8	—	5,6	—
21.00	611	ნორვეგია	—	—	—	7,5	3,2	4,0	3,0	3,0	3,8
21.00	612	სლოვენია	—	1,7	1,7	6,0	4,0	7,0	—	20,0	—
		16 ივნისი									
21.00	613	ჰოლანდია	—	—	—	14,0	7,0	4,5	3,0	2,5	3,0
21.00	614	საფრანგეთი	—	—	—	8,0	3,5	4,0	3,5	2,5	4,0
21.00	615	ჩეხეთი	6,0	4,5	5,0	2,5	2,8	—	5,0	—	—
21.00	616	დანია	2,5	2,5	5,0	3,5	4,0	—	12,0	—	—

(№№601616 დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს თითო გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)

დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია

ევროპის ჩემპიონატი

ჩემპიონი 15 ივნისი (23.45)		ფინალში გასვლა 15 ივნისი (23.45)	
101 ჰოლანდია	3,6	201 ჰოლანდია	2,0
იტალია	4,0	იტალია	2,5
ინგლისი	4,0	ინგლისი	2,5
გერმანია	6,0	გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0	საფრანგეთი	3,0
ესპანეთი	8,0	ესპანეთი	4,0
ბელგია	10,0	ბელგია	5,0
იუგოსლავია	15,0	იუგოსლავია	7,0
ნორვეგია	15,0	ნორვეგია	7,0
ჩეხეთი	15,0	ჩეხეთი	7,0
შვედეთი	25,0	შვედეთი	15,0
პორტუგალია	15,0	პორტუგალია	7,0
დანია	50,0	დანია	25,0
რუმინეთი	40,0	რუმინეთი	20,0
თურქეთი	60,0	თურქეთი	30,0
სლოვენია	100	სლოვენია	50

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ჯგუფში I ადგილი 15 ივნისი (23.45)		ჯგუფიდან გასვლა 15 ივნისი (23.45)	
301 ინგლისი	4,0	401 ინგლისი	1,6
გერმანია	2,0	გერმანია	1,4
პორტუგალია	1,6	პორტუგალია	1,2
რუმინეთი	5,0	რუმინეთი	2,5
იტალია	—	იტალია	—
ბელგია	—	ბელგია	—
შვედეთი	6,0	შვედეთი	3,0
თურქეთი	15,0	თურქეთი	5,0
ესპანეთი	2,0	ესპანეთი	1,5
იუგოსლავია	2,5	იუგოსლავია	1,9
ნორვეგია	1,6	ნორვეგია	1,15
სლოვენია	12,0	სლოვენია	6,0
ჰოლანდია	1,8	ჰოლანდია	1,1
საფრანგეთი	1,6	საფრანგეთი	1,1
ჩეხეთი	6,0	ჩეხეთი	2,5
დანია	15,0	დანია	7,0
(დასაშვებია სხვადასხვა ჯგუფის გამარჯვებულების გადამრავლება)		(დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს ორი გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)	

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი

15 ივნისი (23.45)

701 კლუივერტი	7,0	701 იანკერი	25,0
რაული	10,0	კუჯა	30,0
ანრი	8,0	ტოტი	—
შირერი	12,0	ანდერსონი	30,0
ანელკა	10,0	ლარსონი	30,0
ბირჰოფი	10,0	ნედვედი	30,0
ოუენი	10,0	ჯორკაეფი	30,0
ბერხკამპი	10,0	კოვაჩევიჩი	30,0
კირსტენი	15,0	ზაპოვიჩი	30,0
ფ.ინძაგი	—	ილიე	40,0
დელ პიერო	—	მილოშევიჩი	10,0
ტრეზეგე	20,0	ნილსი	—
მონტელა	—	შუქური	50,0
კოლერი	20,0	ფილიპსი	50,0
სოლსკიაერი	20,0	ვან ჰოიდონკი	50,0
ზიდანი	20,0	მენდიეტა	50,0
ფიგუ	20,0	ოვერმარსი	50,0
მიატოვიჩი	25,0	ჰესკი	50,0
ფლო	20,0	დიუგარი	50,0
სქოულზი	20,0	სტოიკოვიჩი	50,0
ფაულერი	25,0	ბერგერი	50,0

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ნორმანი: ყველგან მეორე

ლაბაძემ ფიურტში 70 საფეხური აირბინა

მაგნუს ნორმანი ამ დღეებში პირველობას ვერსად დაიჩემებს: როლან გაროსის ფინალში გუსტავო კუერტენთან დამარცხდა, წლევანდელი შედეგებით შედგენილ „ჩემპიონთა რბოლა 2000“-ში ასევე გუგას ჩამორჩება და ტრადიციულ კლასიფიკაციაშიც მეორე ადგილზეა ხოტორა ანდრე აგასის შემდეგ.

რა ადგილი უკავია ქერა სკანდინავიელს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის მარტინა ჰინგისის ცხოვრებაში, ჯერ კიდევ საკითხავია. მათი ურთიერთტრფობის შესახებ ჭორები პირველად პარიზში აგორდა, როდესაც ჩოგბურთელები ერთიმეორის მატჩებზე საგულშემატკივროდ რეგულარულად დადიოდნენ.

ჟურნალისტებს, ცხადია, ეს არ გამოპარვიათ და პრესკონფერენციებზე მოთამაშეებს ჯიქურ დაუსვეს კითხვები. ნორმანი, რომელმაც ერთი თვის წინ სახალხოდ დაიჩივლა, გელფრენდი ვერ მიშოვიაო, ჰინგისის ხსენებაზე ჭარხალივით გაწითლდა და შემდეგი განაცხადა: „მე და მარტინა ძალიან კარგი მეგობრები ვართ. პირად ცხოვრებაზე საუბარს კი არ ვაპირებ“.

ენა დაება შვედს მაშინაც, როდესაც სთხოვეს, განემარტა, „ძალიან კარგი მეგობრები“ რას ნიშნავდა. ჰინგისს რაც შეეხება, მსგავს საკითხებში მას გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს და ჟურნალისტების ხრიკებიც არ ესწავლება, ამიტომ საფრანგეთის დედაქალაქში პირდაპირ განაცხადა, ასეთ კითხვებზე პასუხს არ გაგცემთო.

ისე, ნორმანისთვის უკეთესი იქნება, თუ ქალთა პირველ ჩოგანთან რომანის ამბავი ტყუილი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ხანმოკლე მაინც აღმოჩნდება. ჰინგისის კოლექციაში შემავალი ყველა ჩოგბურთელი — ჯასტინ გიმელსტობი, ივო ჰოიბერგერი, ხულიან ალონსო სულ მალე გამოწურულ ლიმონს ემსგავსებოდნენ და კლასიფიკაციაში ქვასაით ეშვებოდნენ ფსკერისკენ.

თუ საჩოგბურთო ბომონდის ამბებს შევეშვებით და კაცების კლასიფიკაციას ბოლოში ჩავუყვებით, იქ ჩვენებურ ირაკლი ლაბაძეს აღმოვაჩენთ. წინა კვირაში 18 წლის ქართველმა გერმანულ ფიურტში 50 ათას დოლარიან ჩელენჯერში იმარჯვა, ფინალში მუდმივად პერსპექტიულ მასპინძელ დანიელ ელსნერს 6:4, 6:4 აჯობა და ნუსხაში წინ დიდი ნახტომი გააკეთა — 267-დან 197-ზე.



მაგნუს ნორმანი

მეორე ასეულის თუნდაც ბოლოში აღმოჩენა ლაბაძეს გაცილებით პრესტიჟული პირველობებისა და დიდი სლემის ტურნირების კვალიფიკაციებისკენ გაუხსნის გზას, რაც ჩვენებურის წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

თუმც მონაწილეთა სიებს რამდენიმე კვირით ადრე ადგენენ, ამიტომ ვიხილავთ თუ არა ქართველს უიმბლდონის შესარჩევ ტურნირზე, ძნელი საოქმელია.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

ქალები

1.1.	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5816
2.2	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5761
3.7.	მარი პირსი (საფრანგეთი)	3494
4.5.	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2831
5.4.	ვინუს უილიამსი (აშშ)	2647
6.3.	მონიკა სელეში (აშშ)	2611
7.6.	ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2440
8.8	სერენა უილიამსი (აშშ)	2254
9.9	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	1970
10.10.	ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1907
11.11.	სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1898
12.12.	ანკე ჰუბერი (გერმანია)	1893
13.14.	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1760
14.15.	ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1446
15.17.	ბარბარა შეტი (ავსტრია)	1391
16.22.	დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1386
17.13.	ჟული ალარი (საფრანგეთი)	1356
18.21.	აი სუგიამა (იაპონია)	1290
19.16.	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	1276
20.25.	ჩანდა რუბინი (აშშ)	1247
21.18	სილვია ტალაია (ხორვეტია)	1240
22.20.	ნატალი დეში (საფრანგეთი)	1202
23.19.	ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1199
24.23.	ემი ფრეზერი (აშშ)	1101
25.24.	საბინე აპელმანსი (ბელგია)	1045
26.26.	ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1002
27.28.	ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი)	995
28.27.	ლაიზა რეიმონდი (აშშ)	993
29.30.	ელენა დოკიჩი (ავსტრალია)	941
30.29.	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	927
64.108.	მართა მარერო (ესპანეთი)	529
82.151.	როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი)	379

ჩემპიონთა რბოლა 2000

კაცები

1.2.	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	505
2.1	მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	486
3.4.	ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	291
4.3.	ანდრე აგასი (აშშ)	274
5.5.	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	269
6.8.	ალექს კორეტხა (ესპანეთი)	267
7.11.	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	264
8.7.	სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	249
9.9.	მარატ საფინი (რუსეთი)	249
10.6.	პიტ სამპრასი (აშშ)	226
11.27.	ფრანკო სკილარი (არგენტინა)	196
12.10.	ტომას ენკვისტი (შვედეთი)	195
13.14.	იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	194
14.12.	ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	184
15.13.	მარიანო პუერტა (არგენტინა)	184

კლასიფიკაცია ძველი სისტემით

1.1.	ანდრე აგასი	4370
2.3.	მაგნუს ნორმანი	3522
3.5.	გუსტავო კუერტენი	3211
4.2.	პიტ სამპრასი	3106
5.4.	ევგენი კაფელნიკოვი	2965
6.6.	სედრიკ პიოლინი	2307
7.7.	ტომას ენკვისტი	1948
8.12.	მარატ საფინი	1883
9.11.	ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	1878
10.10	ალექს კორეტხა	1865
11.9.	ლეიტონ ჰიუიტი	1826
12.16.	ხუან კარლოს ფერერო	1699
13.8.	ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1689
14.13.	ტიმ ჰენმანი	1597
15.18.	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1521
197.267.	ირაკლი ლაბაძე (საქართველო)	173

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

1. მარტინა ჰინგისი	1 405 835
2. მარი პირსი	1 121 713
3. ლინდსი დევენპორტი	1 096080
4. კონჩიტა მარტინესი	797 575
5. მონიკა სელეში	542 597
6. არანჩა სანჩეს-ვიკარიო	462 986
7. სანდრინ ტესტიუ	323 974
8. ამანდა კუტცერი	309 786
9. ანა კურნიკოვა	286 360
10. აი სუგიამა	275 060
11.ამელი მორესმო	271 556
12. ჟული ალარი	271 255
13. ნატალი ტოზია	259 489
14. ჩანდა რუბინი	240 097
15. კორინა მორარიუ (აშშ)	222 256

1. გუსტავო კუერტენი	1 553 003
2. მაგნუს ნორმანი	1 163 923
3. ევგენი კაფელნიკოვი	897 773
4. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	803 339
5. მარატ საფინი	756 913
6. სედრიკ პიოლინი	733 853
7. ალექს კორეტხა	733 525
8. ანდრე აგასი	680 305
9. პიტ სამპრასი	638 677
10. ლეიტონ ჰიუიტი	567 110
11. ხუან კარლოს ფერერო	497 926
12. ტომას ენკვისტი	483 232
13. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)	403 225
14. ნიკოლას ლაპენტი	396 371
15. ალბერტ კოსტა	378 372

რა ჯობი კიპკეტერებს სირბილს!

კვირას „სევილიის გრან პრი“ გათამაშდა. კაცთა ასმეტრიან დისტანციაზე ამერიკელმა ტიმ მონტგომერიმ 10,20 წამიანი შედეგით იმარჯვა, 400 მეტრზე ამერიკელმავე ჯერომ დევისმა 45,95 წამით მოიგო, იმავე მანძილზე წინაღობებით რბენაში ისევ ამერიკელის, უილიამ პორტერის წარმატებას 50,10 წამი დასჭირდა... „როიტერის“ სააგენტო სხვა უამრავ შედეგს გვაცნობს, თუმცა ყველაფერზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ამიტომ ნაკლებ მნიშვნელოვანი გვერდზე გადავდოთ და მთავარზე ვთქვათ. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა გამოსარჩევი იმითაა, რომ იგი უილსონ კიპკეტერმა მოიგო, ოღონდ არა 800 მეტრზე მორბენალმა სახელოვანმა რეკორდსმენმა. ეს კიპკეტერი დანიას არ წასულა, თავისი ქვეყნის, კენიის ღირსებას იცავს და ალბათ განსასხვავებლად მისი გვარი წინსართით გამოითქმის, აი, ასე: უილსონ ბოიტ-კიპკეტერი. 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი და მხოლოდ შედეგი გახლდათ საინტერესო. ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა ხეირიანად ირბინა და 19,91 წამში უწია ფინიშს, რაც სეზონის მეორე შედეგია, პირველიც ჯონსონისაა, სამხრეთ აფრიკაში გაზაფხულის შემოსვლისას დამყარებული. ჯონსონი ჩინებულ ფორმაშია და სიდნეიში მისგან კარგი სირბილია მოსალოდნელი.

მაიკლ ჯონსონი

კენიელმა ნოა ნგენიმ სევილიაში 3000 მეტრზე იქროლა და სეზონის რეკორდი დაამყარა (7:35,46), მაგრამ აბსოლუტურ მიღწევას, რომლის ავტორიც კენიელი დანიელ კომენი ოთხი წლის წინ გახდა და რაოდენობრივად 7 წუთს, 20 მთელსა და 67 შეასედ წამს უდრის, თხუთმეტი წამით ჩამორჩა. კომენი სევილიაში არ ყოფილა, ისევე როგორც 40 წლის იამაიკელი ვეტერანი მერლინ ოტი. სწორედ გასული წლის სევილიის მსოფლიოს პირველობიდან გამოჰყვა მას ნანდროლონთან და დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებული მწარე მოგონებები. შემდეგ ოტის საქმემ იარა, იარა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) საარბიტრაჟო სასამართლოს განხილვის საგნად იქცა. განხილვა და ოტისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანა (მაქსიმუმ სპორტიდან ორწლიან მოკვეთაზეა ლაპარაკი) ამ დღეებში გაიმართება, მას შემდეგ, რაც ჯერ კუბელ სიმაღლეზე მხტომელს, ხავიერ სოტომაიორს გასამართლებენ. სოტომაიორი კოკაინის მუხლით მისცეს სამართალში, თუმცა 32 წლის კუბელი, ოტისა არ იყოს, ირწმუნება, სრულიად უბრალო ვარო და თავისი ქვეყნის ფედერაციასთან თავიც წარმატებით იმართლა. საბოლოო სიტყვას IAAF-ის ხალხი იტყვის.

დავით გულუა

ცეცხლი ავსტრალიას მოედო

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა 8 ივნისს ავსტრალიაში ჩააღწია და 100-დღიან მოგზაურობას შეუდგა, რათა 15 სექტემბერს სიდნეის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე მისგან ოლიმპიური ცეცხლი დაანთონ. მანამდე ჩირაღდანი ხელიდან ხელში გადადის და ცეცხლოვან ესტაფეტას ხან უცნობილესი ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენები, ხან ახალბედა ათლეტები მიარბენინებენ.

ამ ფოტოზე აღბეჭდილია ავსტრალიური კრიკეტის ლეგენდა ალან ბორდერი, რომელიც ჩირაღდანს ტუვონვის ქუჩებში მიარბენინებს.

დიდი ფრენკის პატარა ბატონი

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

დაიმახსოვრეთ ეს სახელი, ჯენსონ ბატონი. მას დიდი პილოტისთვის აუცილებელი ყველა მონაცემი აქვს და დარწმუნებული ვარ, სამ წელიწადში მყარად დაიმკვიდრებს ადგილს სამეფო რბოლებში — ეს სიტყვები „მაკლარენის“ შეფს რონ დენისს ეკუთვნის. უგამოცდილეს სპეციალისტს არაფერი ეშლება და, რომ იტყვიან, ტყუილიც კი დაეჯერება. დენისმა ახალი ვარსკვლავი შარშანწინ „აღმოაჩინა“, როცა ფორმულა 3-ში მოასპარეზე 18 წლის ბრიტანელი „მაკლარენის“ მიერ საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისთვის დაწესებული პრიზის მფლობელი გახდა.

ტალანტების ძებნაში არანაკლებ ჭიპმოჭრილი ფრენკ უილიამსი კი, აქაოდა სხვამ არ დამასწროსო, სამი წლის გასვლას არ დაელოდა, შარშანდელი სეზონის შემდეგ მიიწვია პერსპექტიული თანამემამულე თავის საჯინიბოში და ახალთახალი ბოლიდის საჭეც ანდო. თუმც, როგორც სერ ფრენკი აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება მას ნაუცბათევად არ მიუღია. მართალია, დეკემბრის ბოლოს ბატონის მობილურზე მისი ზარი ზლაპრულ საშობაო საჩუქარს გავდა და ჯენსონიც, ბუნებრივია, სიხარულით მეცხრე ცაზე აღმოჩნდა, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ შეთავაზება გახლდათ. წინ ორკვირიანი ქანცისგამწყვეტი ტესტი და „უილიამსის“ კოკიტში მეორე კანდიდატ, ბრაზილიელ ბრუნო ჟუნკეირასთან დუელი ელოდა.

ჯენსონ ბატონი

ინგლისი

დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს ფრომში; სიმაღლე 182 სმ; წონა 74 კგ; 7 რბოლა; 3 ქულა; საუკეთესო შედეგი — მეხუთე ადგილი (ბრიტანეთის დიდი პრიზი)

გამოცდის ვადა იწურებოდა, უილიამსი კი არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობდა. საერთო აზრით, პრეტენდენტთა შანსები თანაბარი ჩანდა, ასე რომ, ბოლო სიტყვა ბოსისა უნდა ყოფილიყო. ფრენკმა ყოყმანს წერტილი 24 იანვარს, BMW-ს ძრავიანი ახალი „უილიამს FW22“-ის ოფიციალურ პრეზენტაციამდე ნახევარი საათით ადრეღა დაუსვა და ბატონის ბედიც გადაწყდა.

2000 წლის 12 მარტს ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას შედგა კიდეც ყველაზე ახალგაზრდა ინგლისელის და ამასთან, ფორმულის ისტორიაში ერთ-ერთი უმრწემესი მრბოლის დებიუტი. მართალია, ჯენსონი მელბურნში ფინიშამდე ვერ მივიდა, მაგრამ უკვე მომდევნო, ბრაზილიური რაუნდი მეექვსე ადგილზე დაასრულა და აბსოლუტური რეკორდიც დაამყარა — ყველაზე ახალგაზრდა გახდა, ვისაც კი ოდესმე ქულა მოუპოვებია. სულ წლევანდელ შვიდ ეტაპზე უკვე სამი ქულის შოვნა მოასწრო. შედარებისთვის: რვა მრბოლი, მასზე ბევრად გამოცდილი და სახელოვანი, ჯერაც უქულოდ დაბორიალობს.

მოკლედ, სამეფო რბოლების უდარბაისლეს, სამოცს მიტანებულ შეფს, რომლის ერთი შეხედვით ნაჩქარევ ნაბიჯს ბევრმა სიგიჟეც კი უწოდა, აშკარად გაუმართლა და უამრავი სკეპტიკოსიც ჩალაგამოვლებული დატოვა. ფრენკ უილიამსს, წარსულში თავადაც პილოტს, არაერთხელ უთქვამს: „მრბოლის არჩევა ერთდროულად ანგარიშიკაა და ამასთან, კამათლის გაგორებასაც ჰგავს. დაგეგმილ წარმატებას მხოლოდ აირტონ სენასა და მიხაელ შუმახერის დონის პილოტები განაპირობებენ. სხვა შემთხვევაში კი მუდამ რისკს ეწევი და გაგიმართლა თუ არა, მანამდე ვერაფრით გაიგებ, ვიდრე მძღოლს ბოლიდში არ ჩასვამ.“

ასე რომ, ბუნებით აზარტულმა ბოსმა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, გარისკა და ალექს ძანარდის შარშანდელი სამარცხვინო, ნულოვანი ჩაფლავების შემდეგ ამჯერად სასურველი შედეგიც მიიღო.

მაგრამ ბატონის თავზე ბოლო დროს მაინც გამოჩნდა ღრუბელი, უილიამსის საჯინიბოს ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. ჭორ-მართალის გუნდა მონტე კარლოში რალფ შუმახერის ავარიის შემდეგ აგორდა. ხმა გავრცელდა, მომდევნო კანადური ეტაპისთვის ფრენკი ფეხდაშავებული გერმანელის შემცვლელად ამერიკული „კარტის“ ჩემპიონატში საასპარეზოდ განათხოვრებულ ხუან პაბლო მონტოიას მიწვევას აპირებს, ხოლო სეზონის ბოლოს სულაც დაბრუნებს კოლუმბიელს ბატონის ადგილზეო. ოკეანის გაღმიდან სპირისპირო ცნობები მოდის — მონტოია „კარტს“ მშვენივრად მოერგო, ჩემპიონობაც მოიპოვა და ევროპისკენ ჯერ არც იყურება, ყოველ შემთხვევაში, მის წასვლა-დარჩენას თქვენ კარავინ გეკითხებათ და ეს ალბათ ასე იქნება, როგორც მისი დღევანდელი შეფი ჩიპ განასი გადაწყვეტს. აქეთ „უილიამსის“ შტაბიც მსგავს ინფორმაციას ისვრის და მედიას უკიჟინებს: ბატონის საქმეში ცხვირს რას ჰყოფთ, ბავშვს თავი დაანებეთ, ტრასებზე მშვენივრად დაქრის და არც მონტოიას საკითხია თქვენი მოსაგვარებელი.

მაინცდამაინც კოლუმბიელ მრბოლზე კი იმიტომ ატყდა აჟიოტაჟი, რომ მას „უილიამსთან“ 2002 წლამდე აქვს კონტრაქტი. რაკი შარშან გუნდში ორივე ადგილი დაკავებული იყო, ფრენკმა ახალბედა გამოცდილების შესაძენად ორი წლით „კარტში“ გაუშვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სეზონი ტესტ-პილოტად მოუწევდა წვალება.

რაც შეეხება ბატონს, თუ ხმები გამართლდა და მართლაც მოუხდა „უილიამსის“ დატოვება, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ძანარდივით უმუშევარი არ დარჩება, რადგან უკვე ახლავე ოთხი-ხუთი გუნდი ეპატიჟება თავის კოკიტში. ისიც, ცხადია, ყოველ მხრივ შეეცდება დღევანდელი შედეგის გაუმჯობესებას, რათა საკუთარი ტყავი რაც შეიძლება, ძვირად გაყიდოს, ან მონტოიას დაბრუნებაზე უილიამსს სულაც ხელი ააღებინოს.

ბოლოს იმასაც აღვნიშნავთ, რომ რალფ შუმახერი მაინც ჩაფრინდა მონრეალში, მაგრამ შეძლებს თუ არა ტრასაზე გასვლას, ეს ხვალინდელი ვარჯიშისას გაირკვევა.

ირაკლი ნიკოლაძე

ფორმულის ყველაზე ახალგაზრდა მრბოლები

19 წლის 182 დღის	მაიკ ტაქუელი	ახალი ზელანდია	ტირელი	კანადის დიდი პრიზი	1980
19 წლის 208 დღის	რიკარდო როდრიგესი	მექსიკა	ფერარი	იტალიის დიდი პრიზი	1961
19 წლის 320 დღის	ესტებან ტუერო	არგენტინა	მინარდი	ავსტრალიის დიდი პრიზი	1998
19 წლის 324 დღის	კრის ამონი	ახალი ზელანდია	ლოლა	ბელგიის დიდი პრიზი	1963
20 წლის 53 დღის	ედი ჩივერი	აშშ	ჰესკეტი	ს. აფრიკის დიდი პრიზი	1978
20 წლის 53 დღის	ჯენსონ ბატონი	ბრიტანეთი	უილიამსი	ავსტრალიის დიდი პრიზი	2000
20 წლის 192 დღის	პიტერ კოლინზი	ბრიტანეთი	HWM	შვეიცარიის დიდი პრიზი	1952
20 წლის 295 დღის	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	ჯორდანი	ს. აფრიკის დიდი პრიზი	1993
20 წლის 301 დღის	ელიო დე ანჯელისი	იტალია	შედოუ	არგენტინის დიდი პრიზი	1979
20 წლის 338 დღის	ბრიუს მაკლარენი	ახალი ზელანდია	კუპერი	გერმანიის დიდი პრიზი	1958

ღია კარის ათი წუთი

ტესტი

10 ივნისი, ბოსტონი

აშშ 3:83 ირლანდია

აშშ: 1ს — უელსი
ირლანდია: 13ლ — მალინსი (3), ს. ისტერბი (2), გ. ისტერბი (2), მურფი (2), ოკელი, უოლასი, ტოპინგი, ჰამფრიზი; 9გ — ოგარა (8), ჰამფრიზი

არგენტინასთან დამარცხების შემდეგ ირლანდიელებმა, ეტყობა, საჭირო დასკვნები გამოიტანეს და ამერიკელები გაანადგურეს. ანგარიში ნათლად ასახავს ევროპელთა უპირატესობას. ამერიკელებმა 13 (!) ლელო გაუშვეს და მსოფლიოს დაანახეს, რომ მათი რაგბის დონე უწინდელივით დაბალია და წყარი ოკეანის ჩემპიონატში წარმატებით თამაში ამას მხოლოდ გარეგნულად მალავს.

„სამყურებმა" მატჩი ბრწყინვალედ დაიწყეს და უკვე მესამე წუთზე მათი მერკინების მესამეხაზელმა საიმონ ისტერბიმ პირველივე შეტევა ლელოთი დაგვირგვინა. თუმცა მასპინძლებმა ამის მერე, ერთი პირობა, უპირატესობა ხელთ იგდეს და მრავალფაზიანი შეტევაც განახორციელეს, რის შედეგადაც გრანტ უელსმა სხვაობა შეამცირა. დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ანგარიში აღარ შეცვლილა. შემდეგ კი ვუდი — მალინსი — ჰენდერსონის კომბინაცია ნაკრების ახალბედა ჯორდან მერფის ლელოთი დასრულდა.

აქედან მოყოლებული „არწივებს" ფრთების გაშლა ერთხელაც აღარ ღირსებიათ და ისინი მეტოქემ შინაურ ქათმებს დაამსგავსა. თამაშის განახლებისთანავე მალინსმა იყოჩაღა. 30-ე წუთზე საიმონის ძმამ, გიმ გაიტანა, ორიოდ წუთში კი ოკელიმ ივარგა და ოგარას გარდასახვებით ტაიმი 31:3 დასრულდა სტუმრების სასარგებლოდ.

გადედლებულმა „არწივებმა" შესვენების შემდეგ, ფაქტობრივად, შეწყვიტეს ფართხალი და კიდევ რვა ლელო დანებეს შეუჩერებელ „სამყურებს". მსჯჯს რომ კიდევ ერთი-ორი წუთი წაკლტებინა მატჩის ძირითადი დროისთვის, ირლანდიელები 100-ქულიან ბარიერსაც გადაბიჯებდნენ. საბოლოოდ ევროპელებმა თავიანთ ისტორიაში სარეკორდო ანგარიშით გაიმარჯვეს და ახლა წყნარი ოკეანის ჩემპიონატში აშშ-სგან დამარცხებულ კანადას შეხვდებიან ამერიკული ტურნეს ბოლო მატჩში.

10 ივნისი, ისტ-ლანდანი

სამხრეთ აფრიკა 51:18 კანადა

სამხრეთ აფრიკა: 8ლ — პაულსი (2), ფლეკი (2), კემპსონი, ბარი, ვოსი, მონტგომერი; 4გ და 1ს — ფან სტრაატენი
კანადა: 2ლ — ჩარონი, სტენლი; 1გ და 2ს — სტიუარტი

სამხრეთაფრიკელებმა 2000 წლის სანაკრებო სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყეს. თუ ასე გააგრძელეს, სამი ერის პირველობაზე წარმატების კარი შანსი ექნებათ. რა თქმა უნდა, კანადა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დარი გუნდი არ არის, მაგრამ მოწინააღმდეგის სიძლიერე არ იყო მთავარი.

„ქურციკების" მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმა მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ თავის გუნდს სახეს უცვლიდა. „ამ ნაკრებიდან 11-12 კაცს დავტოვებ" — თქვა მან მაშინ და სიტყვას არც გადაუხვია. მალეტმა კანადასთან უკანა ხაზი, ფაქტობრივად, კეპტაუნისა დააყენა, გუნდისა, რომელმაც ზე 12-ში მეხუთე ადგილი დაიკავა და შემტევი რაგბით დაგვამახსოვრა თავი. „ქურციკებს" კაპიტანიც ახალი ჰყავდათ. იოსტ ვან დერ ვესტჰოიზენი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში მაინც გამოჩნდა, ადრე ვისმა შეცვალა.

მატჩის ორივე ტაიმი საკმაოდ ჰგავდა ერთმანეთს. ორივეს დასაწყისში მასპინძლებმა იძალეს და პირველი ქულებიც მოიპოვეს. ანგარიში ბრაამ ფან სტრაატენის საჯარიმოთი გაიხსნა. მალე ზე 12-ში საუკეთესო სამხრეთაფრიკელმა, ბრეიტონ პაულსმა გაიტანა ლელო. ზე 12-ში პაულსი ძირითადად ტყუპი ლელოთი ეშველებოდა ხოლმე თავისიანებს და ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია — მე-20 წუთზე კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. მერე მისმა კაპიტუნელმა თანაგუნდელმა რობი ფლეკმა და რობ კემპსონმა დაალელო-

ბრაამ ფან სტრაატენი

ეს სტუმრები, რომელთაგანაც მხოლოდ კაპიტანმა ოლ ჩარონმა უწია ბურთიანად მეტოქის სალელოე მოედანს. საბოლოოდ ტაიმი 27:10 დამთავრდა.

შესვენების შემდეგ „ქურციკებს" ტემპი არ დაუგდიათ და კვლავ გაშმაგებით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. დაახლოებით 15 წუთი მათ საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს კანადელები და შედეგად ოთხი ლელოც (ორი გარდასახული) მიიღეს. 51:13-ზე ისინი ოდნავ მოეშვნენ და თავს დასვენების უფლება მისცეს. მალე ფლეკმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა და რიცხვმრავლობაში დარჩენილმა კანადელებმა ერთი ლელოს გატანაც მოახერხეს.

სამხრეთაფრიკელების ნამდვილი ძალა 17 და 24 ივნისს, ინგლისელებთან შეხვედრებში გამოჩნდება.

შოტლანდია ახალ ზელანდიაში

9 ივნისი, ვანგარეი

ვიკინგები 42:16 შოტლანდია

ვიკინგები: 6 ლ — გ. ტეილორი, უილსონი, ჯეკი, მონგგენი, როსი, კოლინზი; 3 გ და 2 ს — ჯ. ტეილორი
შოტლანდია: 1 ლ — თაუნსენდი; 1 გ და 3 ს — ჰოდჯი

13 ივნისი, გისბურნი

დასავლეთ სანაპირო 10:51 შოტლანდია

დ. სანაპირო: 2 ლ — ლუისი, ალენი
შოტლანდია: 8 ლ — ოფისერი (3), პატერსონი (2), მაკკინონი, კემბელი, ლონგსტაფი; 4 გ და 1 ს — პატერსონი

ახალზელანდიური ტურნეს პირველ მატჩში შოტლანდიამ მძიმე მარცხი განიცადა. მეტიც, როგორც სკოტური გაზეთები წერდნენ, ეს ნამდვილი კოშმარი იყო, რადგან წაგების გარდა ნაკრებმა თავისი კაპიტანი, ენდი ნიკოლიც დაკარგა, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო.

არადა, პირველი ტაიმი სტუმრებისთვის ცუდის მომასწავებელი არ იყო. თავიდან ოკლენდელმა ჰეიდენ ტეილორმა გაიტანა საჯარიმო. ლელოებს კი კარგა ხანს ელოდა მაყურებელი. ამის მიზეზი აუტებისას მასპინძელთა უხეირობა და ხელით თამაშისას სტუმართა უამრავი შეცდომა იყო. მხოლოდ 36-ე წუთზე შეძლო გრეგორ თაუნსენდმა თავისიანების პირველი და ერთადერთი ლელოს გატანა. თუმცა ზე 12-ის კიდევ ერთი გუნდის, ჰამილტონის კაპიტანმა გლენ ტეილორმაც შეძლო შესვენებამდე მეტოქის დალელება — 8:13.

მეორე ტაიმში კი შოტლანდია ძალიან აირია და ხუთი ლელოც გაუშვა. ეს კი, ალბათ, 53-ე წუთზე ნიკოლის დამტვრევამაც გამოიწვია.

სკოტებმა ტურნეს მეორე მატჩი 13 ივნისს გამართეს და სირცხვილის ლაქაც ოდნავ ჩამორეცხეს. ამ თამაშისთვის შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა იან მაკგიჩენმა რამდენიმე მორაგბეს ადგილი შეუცვალა და ექსპერიმენტმაც გაამართლა. სტუმრებმა მეტოქეს ბურთი თითქმის არ მიაღებინეს და იოლადაც მიაღწიეს საწადელს. თუმცა დასავლეთ სანაპიროს ნაკრებს ძლიერი გუნდი მაინც არ ეთქმის და შოტლანდიაც სიხარულით ცას არ უნდა ეწოს. წინ მაორებთან და „ოლ ბლექსთან" შეხვედრებია და სკოტები თუ იქაც ღირსეულად გამოვიდნენ, მაშინ კმაყოფილების მიზეზიც ექნებათ.

არგენტინა ავსტრალიაში

13 ივნისი, ბრისბენი

ბრისბენი 29:35 არგენტინა

ბრისბენი: 4ლ — გრეჰემი (2), ბარტონი, ნალატუ; 3გ და 1ს — დრეპმი
არგენტინა: 4ლ — ჯანანტონიო (2), ალბანეზი, ორენგო; 3გ, 2ს და 1ა — სილი

„ამაზე უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდით. ძალიან კარგი თამაში იყო, თუმცა მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა" — განაცხადა ავსტრალიური ტურნეს პირველ მატჩში გამარჯვების შემდეგ არგენტინელთა კაპიტანმა აგუსტინ პიჩოტმა.

ბრისბენი შესუსტებული შემადგენლობით, თავისი „ვოლაბების" გარეშე თამაშობდა, მაგრამ „პუმებს" მაინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. თავიდან მასპინძლებმა იძალეს. სტივ კეჟუ მათ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, თითქმის ყველა იერიში მან წამოიწყო. ამან ნაყოფიც მალე გამოიღო. ჯერ სკოტ ბარტონმა გაიტანა ლელო, თამაშის განახლებისთანავე კი რიჩარდ გრეჰემმა გაახარა თავისიანები. შემდეგ „ქუიზლენდელი წითლები" ჩაცხრნენ და დიეგო ჯანანტონიომ და ხოსე სილომ ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეს (8:12). შესვენებამდე გრეჰემმა კიდევ ერთხელ დაალელოა მასპინძლები, რომლებიც მეორე ტაიმში გამოფხიზლდნენ.

„პუმების" იერიშებთან გამკლავება ბრისბენს სულ უფრო და უფრო უჭირდა და მალე ჩამორჩა კიდეც. თუმცა მატჩის დამთავრებამდე სამიოდ წუთით ადრე შონ დრეპმმა საჯარიმო გაიტანა და მისი გუნდი ექვს ქულამდე დაეწია მეტოქეს. ერთი გარდასახული ლელო მოგებას უდრიდა და „წითლებმაც" შტურმი მოაწყვეს, მაგრამ სტუმართა დაცვის მეხუთედ გარღვევა ვეღარ მოახერხეს.

ინგლისი სამხრეთ აფრიკაში

13 ივნისი, პოჩეფსტრომი

ლეოპარდები 22:52 ინგლისი

ლეოპარდები: 1ლ — დე კონინგი; 1გ. და 5ს — დე მარინი
ინგლისი: 7ლ — კლარკი (2), ლუგერი (2), ლოიდი, ჯონსტონი, ლიუზი; 4გ. და 3ს — სტიმპსონი

გამარჯვებით დაიწყეს სამხრეთაფრიკული ტურნე ინგლისელებმაც. ჩრდილოდასავლეთელ „ლეოპარდებთან" მთელი მატჩის განმავლობაში სიტუაციის ბატონ-პატრონნი იყვნენ და თავიანთი ქომაგები ლამაზი მოგებით გაახარეს.

თუმცა სტუმრებს თავიდან ოდნავ გაუჭირდათ, ანგარიში როლანდ დე მარინიმ გახსნა საჯარიმოთი. „ლეოპარდების" დაცვა დაახლოებით 15 წუთს უძალიანდებოდა ინგლისელებს, მერე კი გატყდა. პირველად „ლესტერის" წევრმა ლეონ ლოიდმა გამოიჩინა თავი. ამის მერე კი სამხრეთაფრიკელთა დაცვაში ერთგვარი „ღია კარის" ათწუთეული დაიწყო. სტუმრებმა ამ პერიოდში სამი ლელო გაიტანეს და 27:6 დაწინაურდნენ.

თითქოს ანგარიში საბოლოოდ გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი და შესვენებამდე თავიანთი ერთადერთი ლელო გაიტანეს. მეორე ტაიმიც პირველის მსგავსი იყო. ინგლისელთა შეტევები, „ლეოპარდების" თავდადებული დაცვა და მისი უეცარი მსხვრევა, რასაც ხუთ წუთში ორი ლელო მოჰყვა. და თუ მასპინძლები დიდ შერცხვენას მაინც გადაურჩნენ, ეს დე მარინის დამსახურებაა, რომელმაც ყველა დარტყმა ზუსტად შეასრულა და 17 ქულა მოიხვეჭა.

გაიოზ თალაძვაძე

წყნარი ოკეანის ჩემპიონატი

მეოთხე ტური

10 ივნისი

სამოა 68:9 იაპონია

სამოა	2	2	0	0	2	0	99:26	10
აშშ	2	2	0	0	2	0	70:46	10
ფიჯი	3	2	0	1	1	0	89:75	9
ტონგა	3	1	0	2	1	1	59:79	6
კანადა	2	1	0	1	0	0	54:45	4
იაპონია	4	0	0	4	0	1	77:177	1

მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია



მიწა! აფროსანთა მარადიული სიხარული

ინგლისელი ქალბატონი უკარებია

კაცებს ოკეანეშიც გაურბის

საცაა დასრულდება ტრანსატლანტიკური რეგატა „იერეფ უან ნიუ მენ სტარი", წარსულში დარჩება მფრინავი თევზების, ვეშაპ-ზვიგენების, აისბერგებისა და ზუზუნა ქარის კომპანიაში 71 მარტოკაცისგან გატარებული ათი დღე, ფიზიკური კონდიციების შესანარჩუნებლად ყოველ 24 საათში მიღებული 3500-დან 5500-მდე კალორია ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების საჭირო პროპორციებით და კიდევ მრავალ მიზეზთა გამო უკვე აქამდე მარცხნაჭამი 17 იახტა, რომელთა პატრონებიც ფინიშს ვერ უწევენ, ზოგი მათგანი ევროპისკენ გაბრუნდა, ზოგმაც აზორის არქიპელაგს შეაფარა თავი.

რეგატის ავანგარდს თითებზე ჩამოსათვლელი მილები რჩებოდა ამერიკულ ნიუპორტში დათქმული ფინიშის გადასაკვეთად, მაგრამ ამომწურავ ინფორმაციას ვერ ველირსეთ. გავიგეთ მხოლოდ, რომ რეგატის ბოლო დღე კვლავ „სამხრეთელთა" უპირატესობით ილეოდა. „სამხრეთელებში" ის ხალხი იგულისხმება, რომელთაც ნიუპორტის მისაღწევად სამხრეთული გზა აირჩიეს. ადრე მათი მიღწევები მწირი იყო, „ჩრდილოელები" დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ შემდეგ ქვედა რეგიონში ჰაერის მასები გაძლიერდა და მრავალკოლპუსიან იახტებში ფრანგმა მარკ გილემომ აიწყვიტა, ცალკორპუსიანებში კი მისმა თვისტომმა მანდილოსანმა, კატარინა შაბომ. შაბოს დროებით შევეშვათ, მას და მის კოლეგებს ჯერაც ათასზე მეტი საზღვაო მილი დარჩენიათ ფინიშამდე და ათასი რამის შეცვლაა მოსალოდნელი, კატამარანები და ტრიმარანები კი უკვე ახალი მიწის ნაპირებთან მიქრიან.

კვლავ გილემოზე მოვყვეთ. ფრანგმა ფრანგიკე ფრენსის ჟუონის გამოკლებით უკვე ყველა ადრინდელ მოწინავეს გაუსწრო და გუშინ, საფრანგეთის დროით დილის ექვსის ოც წუთზე, მეორე ადგილზე მიქროდა 17,3 კვანძის სიჩქარით. ჟუონამდე 28 მილი რჩებოდა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიდერს ვაგლახად დაემუხრუჭებინა (11,4 კვანძით მიდიოდა), ვნახავთ, რომ არც „ფოტოფინიშის" საჭიროება იქნებოდა არარეალური. შემდეგ ვითარება შეიცვალა და რვას რომ ოოთხმეტი წუთი აკლდა, სრულიად განსხვავებული ვითარება დაფიქსირდა: ჟუონი კვლავ წინ გავარდნილა და ახლა 47 მილით დაწინაურებულიყო. იმის მერე არაფერი გაგვიგია, მაგრამ ნიუპორტამდე 65 მილიღა დარჩა და ცოდვას არ დავიდებთ, თუ ჟუონს აქედანვე რეგატის მომგებად გამოვაცხადებთ. სამაგიეროდ, გილემოს ვერა აქვს თავი ქუდში, 110 მილი უნდა გაიაროს და 8 მილის სავალზე ფრანგი ფრანკ კამასი მისდევს, ფრანგივე ალენ გოტიე კი მეოთხეა და, ალბათ, ამავე ადგილზე დაასრულებს რბოლას.

ერთკორპუსიანებში ელენ მაკარტური კაციშვილს არ იკარებს. მთელი ღამე იღწვოდა ფრანგი როლან ჟურდენი, რომ როგორმე ბრიტანელ ქალბატონს წამოსწეოდა, მაგრამ ოციოდე მილი იქით წაადო. მესამე ადგილზეც მანდილოსანმა გადაინაცვლა. იგი ზემოთ ვახსენეთ, მას კატარინა შაბო ჰქვია. ამ ხალხს ჯერ ყველაფერი წინა აქვს, ფინიშამდე ბევრი დარჩა.

და კიდევ ერთი. რეგატის არიერგადს ციცქნა იახტები შეადგენენ, მეორიდან მეხუთემდე კლასიანი. ისინიც ენერგიულად მიცუნცულებენ ამერიკისკენ და მერე რა, თუ არისტოკრატთათვის ვერ გაუსწრიათ, ამგვარ რამეს მათ არც არავინ ავალებს. ციცქნებს თავიანთი კონკურსი აქვთ, ბევრად უფრო გაჭიმული და, მათდა სამწუხაროდ, ნაკლებად საყურადღებო. ზოგიერთს ჯერ ნახევარი გზაც არ გაუვლია.

დავით გულუა

მრავალკორპუსიანი იახტები. 1. ფრანსის ჟუონი (საფრანგეთი) — 64 მილი ფინიშამდე; 2. მარკ გილემი (საფრანგეთი) — 111; 3. ფრანკ კამასი (საფრანგეთი) — 119.
ერთკორპუსიანები. 1. ელენ მაკარტური (დიდი ბრიტანეთი) — 1007; 2. როლან ჟურდენი (საფრანგეთი) — 1052; 3. კატარინა შაბო (საფრანგეთი) — 1112.

ჭადრაკი

თუ გსურთ საპატიო ბათუმელობა, გახდით ევროპის ჩემპიონი

ბათუმში ქალ მოჭადრაკეთა ევროპის პირველი ჩემპიონატი დასრულდა. 32-მა მოჭადრაკე მანდილოსანმა დაიწყო ეს მნიშვნელოვანი ტურნირი და „ნოკაუტ-სისტემის" სახელით ცნობილმა ბრძოლის მკაცრმა განაწესმა, მათგან ბოლოს მხოლოდ ორი დატოვა ფინალური სერიის პარტიათა სათამაშოდ. არც ერთი იყო ქართველი და არც მეორე: დაფის აქეთ რუსი ეკატერინა კოვალევსკაია იჯდა, იქით — უკრაინელი ნატალია ჟუკოვა.

ფინალს დამატებითი პარტიები არ დასჭირვებია. კოვალევსკაისგან პირველ წაგებას ჟუკოვამ ორი მოგება მიაყოლა და ბოლო პარტიაში დამარცხების რეალური საფრთხის მიუხედავად, სასურველი ნახევარი ქულა მოიპოვა. ფინალის საბოლოო ანგარიშია 2,5-1,5 და, 21 წლის უკრაინელი მოჭადრაკე ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა. გუშინ ტურნირის საზეიმო დახურვა მოეწყო, სადაც, ფინალისტები საპატიო ბათუმელებად აირჩიეს.

დავით გულუა

ევროპული ამბები

ლიტვა

შსაგონისოდ და შკარნიშოვასოდ?



ითამაშებს სიდნეიში
არვიდას საბონისი?

ლიტვის ნაკრები 26 ივნისს იწყებს მზადებას სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის. მწვრთნელმა იონას კაზლაუსკასმა 20 კანდიდატი დასახელა, მაგრამ პირველ შეკრებაში ყველა ვერ მიიღებს მონაწილეობას. ლიტველთათვის რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ამგვართა შორის არიან ცენტრი არვიდას საბონისი და ფორვარდი არტურას კარნიშოვასი.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ცენტრ არვიდას საბონისს ნბა-ს მომქანცველი სეზონის შემდეგ დასვენება სურს. გარდა ამისა, დიდი ლიტველი გაწამეს ფეხების მრავალრიცხოვანმა და მრავალფეროვანმა ტრავმებმა. საბონისს ოპერაცია ესაჭიროება და არაა გამორიცხული, გაიკეთოს კიდეც.

ოპერაცია ელის ბოლონიის „ფორტიტუდოს“ ფორვარდი არტურას კარნიშოვასი. მან მუხლი იტალიის ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალში დაიზიანა. ამჟამად კარნიშოვასი ამერიკაშია და წინასაოპერაციო საქმეებს აგვარებს.

საბონისს სამ ოლიმპიადაში მიუღია მონაწილეობა. ერთხელ ჩემპიონი გახდა (1988, სეული), ორჯერ კი ბრინჯაოს დაეუფლა (1992, ბარსელონა; 1996, ატლანტა). კარნიშოვასი კი ორგზის ოლიმპიელია და ბარსელონაში და ატლანტაში ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

საბერძნეთი

რაჯაც ოლიმპიაკოსში

პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ ახალი მწვრთნელი დანიშნა. იანის იოანიდისი მისმა თანაშემწე ელიას ზუროსმა შეცვალა. ეს უკანასკნელი კი უკვე შეუდგა სასურველი კალათბურთელების ძებნას. „ოლიმპიაკოსმა“ ბოლონინის „კინდერიდან“ უკვე გადმოიყვანა ბერძენი ფორვარდი ნიკოს ეკონომუ. მალე პირეოსელებს ხორვატი ცენტრი დინო რაჯაც შეუერთდებათ.

დინო რაჯა

რაჯამ ბოლო სეზონი შშობლიურ „ზადარში“ გაატარა. კონტრაქტის დასრულებისთანავე თავისუფალი აგენტი გახდა და „ოლიმპიაკოსის“ წინადადებას გამოეხმაურა. წინასწარი შეთანხმების მიხედვით რაჯა ერთ სეზონში 2,2 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ თანხაში არ შედის პრემიალურები. ხორვატი ცენტრი უკვე ესაუბრა ზუროსს, „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობას და შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა. ოფიციალური კონტრაქტი ამ დღეებში გაფორმდება.

ამრიგად, ეკონომუ და რაჯა კვლავ თანაგუნდელები არიან. ორი წლის წინ ისინი „ოლიმპიაკოსის“ მოსისხლე გუნდში, ათენის „პანათინაიკოსში“ თამაშობდნენ.

ესპანეთი

რა მესაქმება ბარსელონაში?

მალე „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. კანდიდატები აქციონერთა გულის მოსაგებად ათასგვარ დაპირებებს იძლევიან. ერთ-ერთმა მათგანმა, ლუის ბასატმა განაცხადა: თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, საკალათბურთო „ბარსელონას“ მწვრთნელად იუგოსლავიელ ჟელკო ობრადოვიჩს ჩამოვიყვანო. ბასატმა თქვა, რომ ობრადოვიჩი ხელშეკრულებით კიდევ ერთი სეზონი უნდა იყოს ათენის „პანათინაიკოსში“, მაგრამ ამ პრობლემასაც მოევლება: იუგოსლავიელის კონტრაქტს გამოვისყიდი და ბარსელონაში გაახლებთო.

თავად ობრადოვიჩს სასაცილოდაც არ ეყო ბასატის ნათქვამი: „კარგი ხუმრობაა, მაგრამ „პანათინაიკოსის“ დატოვებას არ ვაპირებ. მით უმეტეს, „ბარსელონაში“ არაფერი მესაქმება“.

ამასობაში „პანათინაიკოსის“ ვიცე-პრეზიდენტმა თანასის იანაკოპულოსმა განაცხადა, რომ გუნდი ფიბა-ს ერთგული რჩება და მომავალ სუპროლიგაში მონაწილეობას მიიღებს. არადა, „პანათინაიკოსი“ „ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირის“ შექმნის ერთ-ერთი თაოსანი იყო. ამ ორგანიზაციამ კი, მოგეხსენებათ, ფიბა-ს ომი გამოუცხადა და ალტერნატიული ევროლიგის ჩამოყალიბება გადაწყვიტა.

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული,
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე



☎ 9315 2

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

წინა დღის ანალოგია: კვლავ ლოსაბერიძე, კვლავ საჯარიმოებით

სტუ — სდასუ 2:0
სამ მოგებამდე

14 ივნისი. სპორტის სასახლე
სდასუ 99:101 სტუ

1 ტაიმი 45:48

სდასუ: ხოშტარია (39), გ. ჩხეიძე (6), უძილური (22), ლ. აბულაძე (8), მაჭარაძე (14); გ. ნაცვლიშვილი (10), სუხიშვილი, ანდღულაძე

სტუ: სულაძე, თორთლაძე (16), ჩუბინიძე (4), ორმოცაძე (13), ოთიურიძე (14); ტუღუში (18), მინაშვილი (14), ლოსაბერიძე (11), მიქაძე (9), დ. მოისწრაფიშვილი (2), კორძაძე

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

ირაკლი ფირაშვილი

მოგეხსენებათ, ნახევარფინალში „აზოტის“ და „ბასკოს“ მიერ ძლეული გუნდები — სტუ და სდასუ მესამე ადგილის დასასაკუთრებლად შებმიან ერთმანეთს, თუმც პირობითად თუ ითქმის ასე, რადგან რეალობა სხვაგვარია. ორიოდ კვირის წინ მეცხრე ჩემპიონატის ოქროსთვის მებრძოლი სტუ-დენტური გუნდების თვალში მესამე ადგილისთვის ბრძოლა ლამის ფორმალობად იქცა. აბა, ბრინჯაო როგორ შეედრება ოქროს ბრჭყვიალს და, ბუნებრივია, სტუდენტებს ნაკლებად იზიდავს.

საბოლოო ანგარიშის შემხედვარე კაცი იტყვის, დაძაბული თამაში ყოფილაო, მაგრამ ეს სულაც არ გახლდათ ასე. ამ შეხვედრაზე მონოტონური და ერთფეროვანი უფრო ითქმის, ვიდრე დაძაბული, რადგან მეტოქეთ დაცვა უკუეგდოთ და ამიტომაც ბურთი არცთუ იშვიათად ვარდებოდა კალათში. ხშირი იყო შემთხვევები, როცა შემტევს ხელს არავინ უშლიდა, ხოლო თუ შეეცდებოდა, ერთობ უხეიროდ გამოსდიოდა და თუ ეს თამაში უფრო უხვქულიანი ანგარიშით არ დასრულდა, შემტევთა უზუსტობის ბრალი უფროა, ვიდრე მეტოქის დაცვაში კარგი თამაშის. ერთი სიტყვით, ეს შეხვედრა ბევრით ჰგავდა ამ გუნდების წინა დღის მატჩს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, იყო საინტერესო მომენტებიც განსაკუთრებით ფინალმა ააღელვა სპორტის სასახლეში შეკრებილი ორიოდ ასეული გულშემატკივარი.

ნათქვამი კია, გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას არ ცვლიანო, მაგრამ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი დამრიგებელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ამ დაუწერელ წესს უგანა და სასტარტოტ ხუთეულში სამი კალათბურთელი შეცვალა, თუმც ამან სტუ-ს თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად ვერ გაუმჯობესა. ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ მისცემს სდასუ-ს მწვრთნელი ლევან მოსეშვილი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას არ ჰყავს ისეთივე მრავალფეროვანი შემადგენლობა, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს. მართალია, სდასუ-ს დისკვალიფიკაციამოხდილი გიგი ნაცვლიშვილი დაუბრუნდა, მაგრამ გუნდმა მთელი თამაში ფაქტობრივად ექვსი კაცით ჩაატარა.

ტექნიკოსთა რიგებში სასტარტო ხუთეულში თამაში წინა დღით საუკეთესო კოტე ტუღუშის ნაცვლად ბაჩანა სულაძემ დაიწყო. იგი ოდნავ ნერვიულობდა და პირველი ორი შეტევა გაფუჭა, მაგრამ თავდაპირველად მაინც მისი გუნდი დაწინაურდა თორთლაძის სამქულიანის შემდეგ, ერთ წუთში მას ჩუბინიძემაც აუბა მხარი და ანგარიში 5:0 გახდა. სდასუ-მ ჩხეიძის ორქულიანით და ხოშტარიას სამიანით უპასუხა. თამაშიც ასევე გაგრძელდა, ხშირად ხეირობდა როგორც სდასუ, ასევე სტუ. სულაძე მოგვიანებით მიქაძემ შეცვალა. თავდაპირველად ვერც იგი ჩაერთო კარგად თამაშში, მაგრამ თანდათან გამოცოცხლდა და მისი და ვახტანგ მინაშვილის აქტიურობის წყალობით პირველი ტაიმის დამთავრებამდე ექვსიოდ წუთით ადრე სტუ ათი ქულის სხვაობით დაწინაურდა — 39:29. ლევან მოსეშვილის შეგირდებმა დიდი ძალისხმევის გარეშე დაფარეს ეს ერთი შეხედვით სოლიდური ჩამორჩენა და ტაიმი საყაიმო ანგარიშით — 45:45 დასრულდებოდა, ტუღუშს სამქულიანით კვლავ წინ რომ არ გაეყვანა თავისიანები.

მეორე ნახევრის დასაწყისში სტუ კვლავ წინ წავიდა, თუმც უპირატესობა ვერც ამჯერად შეინარჩუნა. მეტოქე გუნდის ლიდერმა ირაკლი ხოშტარიამ მორიგი სამქულიანი ჩაგდო და ანგარიში გაათანაბრა — 63:63. შემდეგ მისმა თანაგუნდელმა შოთა მაჭარაძემ ივაჟკაცა, ორი ქულა მოუტანა თავისიანებს და სდასუ-ც, თამაშის საწყის წუთებს თუ რა ჩავთვლით, პირველად დაწინაურდა. ცხადია, ვერც მოსეშვილის გუნდმა შეინარჩუნა ლიდერობა, მომდევნო ორ წუთში საკუთარ კალათში ზედიზედ ცხრა ქულა მიიღო. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა, ახლა სდასუელმა შოთა უძილაურმა გამოიდო თავი და ორ სამქულიანით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა — 72:71, თუმც მოსეშვილის შეგირდებმა დარჩენილ ათიოდ წუთში დაწინაურება ვეღარ მოახერხეს. ამის შანსი კი მათ ნამდვილად ჰქონდათ. ბოლო წუთი მიმდინარეობდა, სტუ იგებდა — 98:95. მატჩის დამთავრებამდე 38 წამით ადრე ხოშტარიას არ უმტყუნა ნერვებმა, ორ ფარს შორის მანძილი დრიბლინგით დაფარა და სამიოდ მეტრიდან ჩაგდო — 98:97. ოციოდ წამიღა რჩებოდა, როცა სდასუ-ს შანსი მიეცა — ჩხეიძემ ბურთი ჩაჭრა. იგი მის თანგუნდელ ლადო აბულაძეს მიუვიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოუმზადებლად ისროლა სამქულიანი და წინ გასვლის ხელსაყრელი შემთხვევაც დაკარგა. წამის შემდეგ სტუ-ელი ოთიურიძის ერთ საჯარიმოს კვლავ ხოშტარიამ უპასუხა ორიანით და გაათანაბრა — 99:99, მაგრამ მისი თავგამოდება უშედეგო გამოდგა. შეხვედრას წერტილი ლოსაბერიძემ დაუსვა, კვლავ საჯარიმოებით. წინა მატჩის დარად მასზე ისევ ბოლო წამებზე დაჯარიმდნენ. ლევან მოსეშვილის გუნდმა ორ დღეში ორი ერთმანეთის ანალოგიური თამაში წააგო, სერიაშიც 0:2 ჩამორჩა მეტოქეს და, ვფიქრობთ, ნაადრევი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის მესამე პრიზიორობაც ტექნიკოსებს გადაულოცა.

ირაკლი ფირაშვილი

სტუ-ელი ლაშა ლოსაბერიძე შოთა მაჭარაძეს (მარცხნივ) და ირაკლი ხოშტარიას შორის

ფოტო ალექსანდრ ბაბაიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად იყო აზოტი?

ბასკომ რუსთაველებს პირველივე ტაიმში მოუგო

საქართველოს ფინალი 9 ჩემპიონატი

II მატჩი

ბასკო — აზოტი 1:1
სამ მოგებამდე

14 ივნისი. სპორტის სასახლე
აზოტი 66:105 ბასკო

I ტაიმი 29:53

აზოტი: ა. ულენტი (17), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (3), ბაბიაშვილი (8), მ. ბერუაშვილი (5); გოგოლაძე (2), ჩაჩუა (3), დანელიანი, კოჭლამაზაშვილი (4), წიკლაური (14), ა. ბოისა, ჯიმშელეიშვილი (5)

ბასკო: ბელიაევი (7), დავითულიანი (12), ბეჟანიშვილი (15), ქარაბაკი (16), ვ. კილაძე (11); მაისურაძე (13), კვაჭაძე (4), კუშელავა (3), არხიპოვი (17), ბერია, ჭეიშვილი (7)

მსაჯები: მურმან ქურიძე, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

როლანდ ლაგუჩიძე

სადღა იყო ის „აზოტი“, რომელმაც ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში დამსახურებულად მოუგო რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდ ბათუმის „ბასკოს“.

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ვიცე-ჩემპიონმა ივივე სასტარტო შემადგენლობით დაიწყო, როგორც ერთი დღის წინ, „ბასკომ“ კი ძირითადი გამთამაშებლის ადგილზე ამჯერად რუსი ლეგიონერი ანდრეი ბელიაევი დააყენა. 24 წლის მოსკოველი სტუდენტი, რომლის სიმაღლეც ზუსტად ორი მეტრია, შეუპოვარი კალათბურთელია. ზღვისპირელთა შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებამ ნამდვილად გაამართლა და რევანშის სურვილით შეპყრობილმა „ბასკომ“ პირველივე წამებიდან შეუტია მეტოქის კალათს. ელვისებურმა იერიშებმა და ზუსტად გათამაშებულმა კომბინაციებმა კი ის შედეგი გამოიღო, რომ თამაშის დაწყებიდან ერთი წუთის შემდეგ რუსთაველთა ერთ-ერთ საუკეთესო მცველ ზაზა გაბისონიას ორი ჯარიმა ჰქონდა, ანგარიში კი კატასტროფულად იზრდებოდა ზღვისპირელთა სასარგებლოდ. განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდა ალეკო დავითულიანისა და ვლადიმერ ბეჟანიშვილის დუეტი. მათ არც ფართან მოფუსფუსე ვალერი კილაძე და ლევან ქარაბაკი ჩამორჩნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეექვსე წუთის ბოლოს 17:2 იყო „ბასკოს“ სასარგებლოდ.

რუსთაველები კი თავის აჩრდილებსაც კი აღარ ჰგავდნენ. მათმა ქმედებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მხოლოდ მონდომების ხარჯზე ძნელია ფონს გასვლა. სამწუხაროდ, რუსთაველთა ისედაც უიმედო მდგომარეობას უღლობაც თან სდევდა. სხვა რითი შეიძლება აიხსნას ის, რომ რამაზ გოგობერიშვილმა, ფარის ქვეშ მარტოდმარტოდ მყოფმა, ზედიზედ ორი ბურთი აცილა. რუსთაველთა კაპიტანს მესამე ცდა მეორე რუსმა ლეგიონერმა ანტონ არხიპოვმა ჩაუშალა. საჯარიმოების სროლის ოსტატად აღიარებულ გოგობერიშვილს არც ამ შემთხვევაში გაუმართლა და მხოლოდ ერთი გამოიყენა. ძნელია, გაიხსენო შეხვედრა, რომელიც გოგობერიშვილს ისე დაესრულებინოს, თამაშიდან ბურთი არ ჩაეგდოს. გუშინ გაუბედით ამის მომსწრენი. სამი ქულა და ისიც საჯარიმო სროლებიდან რამაზ გოგობერიშვილის დარ კალათბურთელს ნამდვილად არ ეკადრება. ვინ იცის, იქნებ მომავალი შეხვედრებისთვის ინახავს თავს რუსთაველთა კაპიტანი. ისე, არც ის დღეა შორს, როდესაც მეცხრე ერთეული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდი გაირკვევა.

რუსთაველთა რიგებში ერთადერთი ნათელი წერტილი არჩილ ჟღენტი გახლდათ, ისიც სხვებთან შედარებით, ოთრემ რუსთაველთა გამთამაშებელი შორს იყო იმ თამაშისგან, რომელიც მან ნახევარფინალის დასკვნით და პლეი ოფის პირველ შეხვედრაში აჩვენა.

„აზოტის“ დამრიგებელმა ზედიზედ ორჯერ აიღო წუთშესვენება. კიდევ ერთხელ დამოძღვრა ვიცე-ჩემპიონები, მაგრამ მისმა გუნდმა ვერა და ვერ მოარგო გასაღები „ბასკოს“. ზღვისპირელთა დაცვა აუღებელ ციხე სიმაგრედ იქცა, ხოლო შეტევა არტილერიად, რომელიც დაუნდობლად ბომბავდა რუსთაველთა კალათს.

ანგარიში პირველად მეთერთმეტე წუთის ბოლოს გაორმაგდა, როდესაც მეტოქის ფარქვეშ კიდევ ერთხელ ითამაშა ოსტატურად დავითულიანმა — 26:13. მხოლოდ ამის შემდეგ ჩართო თამაშში ხმელიძემ ლევან წიკლაური, რომელიც მანამდე სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს თანაგუნდელთა თამაშს. სამწუხაროდ, ვერც წიკლაურმა უშველა რუსთაველებს, რადგან მოედანზე მყოფ ზღვისპირელებს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ.

ემოციური რუსთაველებისთვის ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა, როდესაც სათამაშო სიტუაციაში არხიპოვის იდაყვი უნებლიედ გაბისონიას მოხვდა ცხვირში და ფიზიკური გამძლეობით ცნობილ სპორტსმენს სისხლი წასკდა. ფიცხმა გაბისონიამ ბატკანივით მშვიდი არხიპოვის მიმართ კი დაიცვა სტუმარ-მასპინძლობის წესი, მაგრამ სამაგიეროდ მსაჯებისა და თამაშის ორგანიზატორების მისამართით აფრქვია პრეტენზიები, რადგან მოედნის მსაჯულებმა არხიპოვსა და გაბისონიას შორის დამნაშავედ „აზოტელი“ მიიჩნიეს. ბამბით ცხვირდამშვენებულ გაბისონიას საბოლოოდ სათადარიგოთა სკამზე მიუჩინეს ადგილი ტაიმის ბოლომდე, ხოლო შეგირდის მოსარჩლე ხმელიძეს ტექნიკურით გაუმასპინძლდნენ. ამ დროისთვის „ბასკო“ 25 ქულით (44:19) უგებდა მეტოქეს, ტაიმი კი დაახლოებით იგივე სხვაობით დაასრულა — 53:29.

მეორე ნახევარშიც გუნდები იმავე შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე, როგორც შეხვედრის დასაწყისში. როდესაც მეორე წუთის ბოლოს ზუსტი სამქულიანი სროლით ბელიაევმა კიდევ ერთხელ გაორმაგა სხვაობა — 62:31 — აშკარა გახდა, „აზოტი“ მატჩს ვეღარ იხსნიდა.

რუსთაველებმა ჩართვას ჩაყოლა ამჯობინეს, მომავალ შეხვედრებში ძალების შემონახვის მიზნით ნაადრევად შეურიგდნენ წაგებას და ნელ-ნელა უხმეს მოედანზე სათადარიგოებს. გოგობერიშვილის და ბერუაშვილის შემდეგ ბაბიაშვილმა და გაბისონიამ დაუომეს ადგილი ახალგაზრდა თანაგუნდელებს. როდესაც მეცხრე წუთის ბოლოს ჟღენტმაც სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, მოედანზე უმეტესად სათადარიგო კალათბურთელები იყვნენ. დიდებულად დაწყებული საქმის ჩამთავრება „ბასკომაც“ სათადარიგოებს მიანდო.

რევანშში შედგა, ეტყობა, ტომარაძეს კარგად აქვს დაცდილი ფინალების სერიაში პირველი მატჩების წაგება. ამასაც მალე ვნახავთ, დაახლოებით ორსამ დღეში.

ბასკოელი ალეკო დავითულიანი (ბურთით) და რამაზ გოგობერიშვილი

ვალერი კილაძე (№7) აზოტელ მიხეილ ბერუაშვილს გაექცა

მატჩის შემდეგ

ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი:

— ბატონო ზურაბ, პირველ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ რით ახსნით „ბასკოს“ ასეთ გარდაქმნას, რომელმაც განმეორებით მატჩში შანსი არ დაუტოვა მეტოქეს.

— კალათბურთში ხდება ასე. გუშინ „აზოტს“ გამოსდიოდა თამაში, დღეს ჩვენ გაგვიმართლა. ძირითადი გამთამაშებლის, მამუკა აბრამიძის ტრავმის გამო აუცილებელი გახდა გუნდის გადაწყობა, რასაც დრო სჭირდება.

— კონკრეტულად რა ცვლილებები შეიტანეთ სათამაშო ტაქტიკაში?

— აბრამიძის ტრავმის და პირველ შეხვედრაში დამარცხების გამო გუნდში კარდინალური ცვლილებები მართლაც არის, მაგრამ პლეი ოფის დამთავრებამდე ჩვენს საიდუმლოს ვერ გავამხელთ.

— თითქმის ერთი ტაიმით ადრე შეურიგდა „აზოტი“ დამარცხებას და მოედანზე მეორე შემადგენლობას უხმო. თქვენ რით ახსნით მეტოქის ასეთ გადაწყვეტილებას?

— პირველ ტაიმში იმდენად დიდი იყო ჩვენი უპირატესობა, რომ „აზოტის“ მთავარი მწვრთნელის, ოთარ ხმელიძის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი. მეტოქეს ძალიან გაუჭირდებოდა მატჩის თავის სასარგებლოდ შემობრუნება და თუ მაინც მოახერხებდა, ეს მეტად ძვირად დაუჯდებოდა. მხედველობაში მაქვს მოთამაშეთა ფიზიკური გადატვირთვა. წინ კი შეხვედრებია ჩასატარებელი. ფინალური სერია მაშინ დამთავრდება, როდესაც ერთ-ერთი ჩვენთაგანი მესამე გამარჯვებას იზეიმებს.

— ასეთი დამაჯერებელი მოგების შემდეგ ხომ არ იმატა „ბასკოს“ შანსებმა?

— ოქროს მედლების მოპოვებისთვის იმ გუნდის შანსები გაიზრდება, რომელიც დაწინაურებას შეძლებს. ანგარიში ჯერ საყაიმოა — 1:1, შანსებიც თანაბარია.

ოთარ ხმელიძე, „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი:

— ბატონო ოთარ, თქვენ თითქმის ერთი ტაიმით ადრე შეურიგდით წაგებას...

— წინ კიდევ უფრო რთული მატჩები გველის და ძალები სამომავლოდ შემოვინახეთ. ზედიზედ სამი შეხვედრის ჩატარება გვიხდება და ჩვენი გუნდისათვის ეს მეტად ძნელია.

— მეტოქეც ხომ იგივე სიტუაციაში იმყოფება...

— „ბასკომ“ შეკრება მოაწყო, ჩვენ კი მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ვიკრიბებით. კლუბის ხელმძღვანელობას დიდი სურვილი ჰქონდა, ჩვენც სათანადოდ მოვმზადებულიყავით, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო არ მოხერხდა.

— კონკრეტულად რამ განაპირობა „აზოტის“ ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხება?

— ვაღიარებ, რომ „ბასკომ“ თავისი თამაში მოგვახვია თავს და ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ხშირი იყო უხეშობა. მსაჯობა კი ტენდენციური. ობიექტური მსაჯობა რომ ყოფილიყო, შეხვედრა უფრო სინტერესო იქნებოდა. მიუხედავად ამისა, „ბასკომ“ დიდებულად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

— ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ „აზოტი“ გულს ხომ არ გაიტეხს?

— არავითარ შემთხვევაში. პირველ მატჩში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გამარჯვება შეგვიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბანგკოკიდან

საფეხბურთო პროტესტი



პროტესტის მრავალი ფორმა არსებობს: პირის ამოკერვა, შიმშილობა, მიტინგი, დემონსტრაცია და მისთანები. ხანდახან ფეხბურთის თამაშიც პროტესტის ნიშანია — მწვანე მინდორზე ბელგიის ეკონომიკის მინისტრი ჩარლზ პიკი (სათვალით) და პარლამენტარები დაძუნძულებენ, ხოლო მატჩის მიზანი ევრო 2000-ის იმ სპონსორთა მხილებაა, რომელთაც ადამიანის უფლებები მეორეხარისხოვან ამბად ჩაუთვლიათ.

მკვდარი კედელი

ალესანდრო დელ პიერრო ბურთის რკინისთავიანთათვის გადატარებასა და საჭირო ადგილას შეგდებას ამუდამებს. ის მკვდარი კედელი მერე გაცოცხლდება, აღარც თავები იქნებიან ერთი სიმრგვალისანი და ერთ სიმაღლეზე, კიდეც ახტებიან ხოლმე, ასე რომ მკვდარი კედელი ისე რა რეალურია, თუმცა მასზე ვარჯიშიც საქმეს არ წაახდენს.

რა დროს მასაჭია

ფეხბურთი მსოფლიოს ყველა კუთხეს მოედო. აი, მაგალითად, ნაზი ხელებისა და სხვა უთვალავ ღირსებათა პატრონი ტაილანდელი შემასაჭე გოგონები ევრო 2000-ის მონაწილეთა ნაირ-ნაირ ფორმებში გამოწყობილან და თავიანთი ძირითადი საქმის დროსაც კი თამაშის გაცდენას ვერ ეგუებიან: სამუშაო ოთახში ზორბა მონიტორები ჩამოუკიდიათ და გაფაციცებით შესცქერიან ხოლმე; საქმე მოიცდის...

პაპელ მწერალი

ჩეხები ვერ წაუხდენია ჰოლანდიასთან დასანან მარცხს, საფრანგეთთან სათამაშოდ კბილებს ილესავენ და არც ერთგულ ქომაგთა შარფ-მაისურების ავტოგრაფებით მოხატვა ეზარებათ. ფოტოზე მარჯვნივ ჩეხთა მეკარე პაველ სრნიჩეკი სწორედ ფანთათვის სავალდებულო ხარკის მოხდის პროცესშია აღბეჭდილი.

ანტიპოდები

რიგორ არ ჰგვანან ერთმანეთს ბელგიის ნაკრების მწვრთნელი რობერ ვასეჟი (მარცხნივ) და იმავე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიშელ დოოგი. ეს უკანასკნელი ვასეჟს შვედთა ძლევას ულოცავს და იტალიის ზედ მიყოლებასაც უსურვებს. მიგვაჩნია, რომ მილოცვა უფრო გახსნილი სახითაც შეიძლებოდა, ვასეჟზე კი რა გითხრათ... გულღია კაცი ჩანს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, შმუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge